

6992



ԱՐԵՎԱՏՅԱՆ

ԸՆԹԱՎՈՐ ՇԱՀԱՄ
ՄԱԼԻԿԱՆԱԴ



1916



Թաթուազան, № X.

ՅԱԶԻՆԾՈՂՈՎԱՅՑՈՒ



ნაგაზე მარტი



ვილიამ 80-XII.

№ 10.

1916 წ.




უკრძანის დაწურვა.



შინაარსი

I—ყურძნის დაწურვა,—სურათი	1
II—მძინარე დედა,—ლექსი ა. მჭედლიშვილისა	3
III—ერთი ჩემი თავგადასავალი,—ლექსი ქაჩელისა	7
IV—ჩემი სიმღერა,—ლექსი სოლოგუბიძის, თარგ. ნ—ურისა ..	25
V—* *—ლექსი თარგ. გერმანულიდან დ. ედითზიშვილისა ..	13
VI—ბუნების ბაღში,—ესკიზი შიმქრალისა	37
VII—ცუშიშარი მონალიზე,—დ. ქეძაშიძისა	33
VIII—ოქტოს შეელის ზღაპარი,—ხალხური სოფ. კორბო- ულში ჩაწერილი შდ. ჭდ. მაჭარაშვილის შექ.	59
IX—არაკი,—ქილილა და დამანიდან, საკუკ ასულაძისა	68
X—საურთიერთო დაბმირება, —კრ. კრ—ინიდან, იდა ნა- კაშიძისა ..	41
XI—გასაჩთობი:—შარალები, გამოცანები, რებუსი და ახსნა ..	64



მძინარე დედა



ნელათ... ნელათ... დედას სძინავს,
და გთხოვთ თხოვნა ყურადღილოთ:
ძლიერ ჩისთვლიმა; მწარედ გმინავს.—
ჩუმაღ! ხშა არ იმოილოთ!


ნელათ... ნელათ... დედას სძინავს,
და მშეიღია მისი ძილი:
ისე სთვლებს, რომარც ფურცელი უკინავს,
ბევრის ტანავლო ფერ-მიხტოლო.

ნელათ... ნელათ... დედას სძინავს...
სიჩუმე ღრმა და ვრცელი?
თითქო სიკედილს გაუყინავს
საუკუნე, მრავალ-წელი... *

დედა კმარა ესდენ ძილი!
გაიღვიძე, იღსდექ ზეზე,
და უსისო შენი შეილი
პანუგეშე, წამაქეზე...

მავრამ ძილი ევლება თავს,
როგორც მთვარე საფლავის ქვებს.
დედას სძინავს... დედას სძინავს...
ნუ თუ აღარ გაიღვიძებს?.

გ. შეკვეთიშვილი



ერთი ჩემი თავ- გადასავალი



ემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა
მესამე კლასში გადასცლის ამბავი გამომიტ-
ხადეს.— ამაზე იყო დამოკიდებული, თუ რო-
გორ გვიატარებდი ზაფხულს. მსწავლი წარ-
მომიდგა სოფელი, მინდობ-ველი, სახლი,
ტოლ-მეგობრები; და რაც უმთავრესი იყო
მაშინ ჩემთვის, — დედისა და უფროსი ძმის
დანაპირები, თუ წელსაც კლასიდან კლასში გადაიდოდი. —
დედას დაპირებული ჰქონდა ჩიხა-ახალუხი მისი მოწყობილო-
ბით, ხოლო ძმის — ცხენი და მოხდენილი პატარა ხანჯალი...

რა თქმა უნდა, დიდხანს არ დავიყოვნებდი ქალაქში!..
შეეიყარ ბარები და იმავე დღეს სიღამოს მატარებლით სახლის-
კენ გავწიე.

მეორე დღეს უკვე სახლში ვიყავი. ჩემიანები გარს მე-
ხვივნენ, და დედანები მეუბნებოდა:

— რა ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შეილი მყენხარ! მა-
ლე იმ დღესაც მომასწრებს ღმერთი, როცა სულ მოჩინები
მაგ გიმნაზიას და სტუდენტი ჩამომიხვალ სახლში!. შენ კი
დაგენაცილოს დედა-მშობელი... მამაშენი რომ ცოცალი
იყოს, ისიც გახარებული და ბედნიერი იქნებოდა ახლა!



დედიზე არა ნაკლებ უხაროდა ჩემი კლასიდან მასტატების გადასხვალა ჩემ უფროს ძმის.

ჩემთვის კი მათ სიხარულს იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენიც საჩუქრებს, რომლებსაც მოველოდი მათ-გან. მოუთმენლად შევყურებდი ხან დედას და ხან ძმის, რო-დის მეტყველ-მეთქი: — ჰა, საჩუქრებიცა, გაიხარეთ!!

ძმამ ალბალ შემატყო გულის ნადები. მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— წიგნის სწავლა კარგი გურიანია, ჩემთ ბიჭიკო!.. ყოჩალ!.. ახლა, ამ ზაფხულს, შეისეენ და... სხვა რამეც შეისწავლე, რაც ყოველმა ქართველმა კაცმა იცოდა ძველიდ, და არა ახლაც ურიგო, რომ იცოდეს!

ამის გაგონებაზე გულმა ფანტალი დამიწყო. მივხვდი ძმის სიტყვების აზრს, მაგრამ არ გავამხილე.

— რა არის ისეთი? — ვითომ და არაფერი, ისე ვკითხე.

— აი, ცხენოსნობა... სივაუკაცე... — მიპასუხა ღიმილით ძმამ. მერე უცებ პირი მიიბრუნა ხილისკენ და ბიჭს გასძა-ხა: — ანისიმე ბიჭო, ბიჭიკოს ცხენი შეჭკაზე და გარედ გა-მოიყვანები!

შე ვერ ვიტყვი იმას, თუ რა მომივიდა ამის გაგონებაზე. ვერც ვინმე სხვა იტყოდა ჩემს ადგილის. — ვიგრძენი, თითქმ დედამიწა გამცლოდეს ფეხებ-ქვეშ, და ფრთებ-შესხმული ჰაერ-ში მაღლა შევფრენილფიცავი.

— კოწია... ჩემო კოწია!! — მახსოვს ვიყვირე და თვა-ლის დახამხაშებაზე ძმის კისერზე ჩამოვეკიდე.

— თუ ასეა, გამოუტანეთ ჩემ ბიჭიკოს მისი ჩოხა-ახა-ლუხი, ხანჯალ-ქამარი და წულა-მესტი! — სთქვა ახლა დედამ.

აღარ ვიცოდი, რა მექნა? ძმის კისრიდან დედას გადა-ვეპიდე ყელზე და სიყვარელი სახე დაუკაცნე...

არ გასულა ერთი საათიც ამის შემდეგ, რომ სირმიან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ხანჯალი წელზე დაკიდებული,

წულა-მესტიანი, ვაჟა-ფშაველად ვიჯეპ ძმის ნაჩექარ ცხენზე და ეზოში ქარივით დავჭროდი.

— ფრთხილად, ფრთხილად, შეილო, სანამ მიეჩვეოდე! — მიძღოდა, იცნიდან დედა.

— არა უკირს-რა!.. ჩემი ძმა: სხვა რომ არაიყოს, ცხენიდან როგორ ჩამოვარდები! — ამშეიდებდა დედას ჩემი ძმა. იგი განთქმული ცხენოსანი იყო მთელს კუთხეში და იცოდა, რასაც ამბობდა: ცხენიდან როგორ ჩამოვარდები?

* * *

თითქმის მთელ დღეს ცხენზე ვატარებდი. ახლო-მახლო მცხოვრები ნათესავები — ყველანი მოვინახულე. პირველ ორ დღეს ძმა დამყვებოდა; მერე სულ მარტო დავდიოდი. ჩემი ცხენი თუმცა პატარა ტანის იყო, მაგრამ შესანიშნავი მავალი და სწრაფი. მშეიდიც იყო, დამჯერი. მათრაზი სულ არ სკირდებოდა. მე მას სახელად „მიმინო“ უწოდე. კი არ ჰგავდა მიმინოს, მაგრამ მაინც ჰქონდა ზოგიერთი თვისება მიმინოსი!

ერთი თვე გავიდა.

როგორც მე, ისე ჩემს მიმინოსაც მოგვწყინდა ჩვენი სოფელი, მის ფარგალში ტრიალი. ამიტომ ერთ სალამოს, როგორც შინ დავბრუნდი, დედას ვუთხარი:

— დედა, ბიძია-ყარამანის სახლში წავალ, თუ არ გეწყინება. აქ ძალიან მომწყინდა. თუმცა ბიძიას სოფელი ცოტა შორს არის, მაგრამ ჩემი „მიმინო“ ჰქეიანი ცხენია და არა მიშავს-რა! გზაც კარგად ვიცი.

— კი, შეილო, მაგრამ კოშია გამოგყება... რაც უნდა იყოს, ჯერ მაინც პატარა ხარ; და საშიშია. შიო უმეტეს, შენი ძმა კი უნდა წავიდეს ბიძა-შენის სოფელში! — რაღაც ნიღვლიანად მიპასუხა დედამ. ისედაც შევნიშნე, რომ ამ სალამოს იგი გუნებაზე არ იყო.



— რა იყო, დედა?.. რატომ ხარ მოწყენილი ჩე—ქმითშექმა?

— რა იყო, შვილო, და... ბიცოლა-შენს, ხალომებს ამ ფილის წერილი მოსელია, საღაც ატყობინებენ თავიდ დო-მიტრის სიკედილს...

— რომელი დიმიტრის?

— აი, ბიძია ყარაბანის მეზობლიად რო მოსახლეობდა, შვილო, იმ დიმიტრის... იგი ჩეენი შორეული ნათესავი იყო, გენაცვალოს დედა... შენ ძალიან უყვარდი... პატარობისას სულ ხელზე დაგატარებდა...

— ხო... თეოტ-წევრიანი დიდი-ძია?.. ვაიმე!.. — ესთქვი, როცა მომავონდა დიმიტრი. გული დამწყვიტა მისმა სიკედილ-მა. ძალიან მიყვარდა დიდი-ძია. ზღაპრებს მეტყოდა ხოლმე და მეთამაშებოდა.

— როგორც შენი ბიცოლა, ისე მეც დიდად ვემდური ჩეენს ნათესავებს... და განსაკუთრებით ყარაბანის, — გულდა-წყვეტით დაიწყო ისევ დედა-ჩემმა. — დროზე არ შეგვატყო-ბინეს ამოტელი კაცის გადაცვაოდა... ახლა კი ძალიან გვიან არის თურმე, როგორც წერილიდან სჩანს...

— ბიძია-ყარაბანი იწერება, დედა?

— არა, შვილო... ვიღაც უცხო ქალი... რაღაცა საქმე ჰქონია სალომესთან და სხვათა შორის დიმიტრის სიკედილსაც სწერს. სულ მოკლედ, თურმე... ასე: „დიმიტრი მოკვდა, და მართა ძალიან სწუხს... ჯერ კიდე არ მოელოდაო... ასეთ სიტყვებით... მაშ. თავი მოვცემრა... — ამ დროს ჩემი უფ-როსი ძმაც გამოჩნდა. დედამ მიმართა მას:

— შვილო, ბიჭიებს ყარაბანისას უნდა წისვლა; გაჟ-უვი შენც! უბედური დიმიტრის ტირილი კი გვმართებს: არა ერთი და ორი კარგი საქმე გაუკეთებია ჩეენი ოჯახისა-თვის! ესეც არ იყოს, ნათესავი იყო, შვილო!

დედის ეს სიტყვები კი მეწყინა. მარტო მგზავრობა მერ-ჩენა.

— უბედური დიმიტრი მე კი გამოვიტირე. მისი წერილი კი ჩეენ დაგვივიწყეს... ალბალ სათვალიავში არ ვყავართ, რომ არაფერი გვაცნობეს. მეც მათთან მიმსელელი არა ვარ ამიტრიდან,—გადაჭრით მიუგო ძმაშ დედას. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— თუ გინდა წასკლა, წალი!.. ჩემი წაყოლა რად ვინდა? შარა გზაა, სწორი და პირდაპირი... გაჰყევი და მივიყვანს!.. არა ერთხელ და ორხელ ყოფილხარ.. თუ მაინცადამინც შეგვშინდება, გზაზე რომ ეწერი^{*)} შეგხედება, იმას კი შემოუარე!.. გამყოლი რად უნდა შენოდენა კაცს!

— მე არ მითქვამს—მინდა მეთქი!.. მე არაფრის მეშინი!—ვუპასუხე უორა არ იყოს გახარებულმა ძმის სიტყვებით.

— ბიჭი მაინც გაჰყება!.. —განაცხადა ახლა დედამ.

— არა!.. მე არავინ მინდა!—ესთქეი ახლა გაჯავრებულად. მართლაც და, როგორ უცნაურიად ფიქრობდა ჩემშე დედა-ჩემი. მთელმა ქვეყანამ დედა ჩემის გარდა კი იცოდა, რომ მე დიდი ვიყავი. ესეც რომ არ იყოს, საკუთარი ცხენი მყავდა და ხანჯალი მერტყა წელზე. ჩემი „მიმინო“ კი ხის ცხენი კი არ იყო, ბაეშეებს რო სათამაშოდ იქვთ; არც ხანჯალი იყო ყიდრისგან გამოჭრილი. ერთიც და მეორეც ნამდვილი იყო. და, აბა, მცველი და ზედამხედველი, ისიც ონისიმე მოჯამავირე, რატომ უნდა დამჭირვებოდა?

ძალიან გავწყერი. ამან იმოქმედა დედაზე. როგორც იქნა დასტური დამრთო წასკლაზე.

მცირე ხის რჩევისა და დარიგების შემდეგ გადაწყდა მეორე დღეს, ნასადილებს, გავმგზავრებულვიყავ ბიძია ყარა-

^{*)} ეწერი მწირი ადგილია, რომელზედაც მცენარეობა ვერ ხარობს,



შინის სოფელში, რომელიც 15—20 კერსის მანძილზე მდებარებდა ჩენი სახლიდან...

* * *

შეორე დღეს დანიშნულ დროსთვის უკვე მზად ვიყვავი გასამგზავრებლად. ისიც იყო ცხენსე უნდა შეცმჯდარვიყავი, რომ ბიცოლა ხილომე მოვიდა ჩენსა. გაეგო, რომ ყარაბანისას მიედიოდი, და წერილი მოიტანა.

— ჩემი ბიჭიკო, ყარაბანისას რო მოხვალ, ეს წერილი ჩენი უბედური დიმიტრის ულირს დას, მართას. გადუგზავნე ბიჭის ხელით! — მითხრა ბიცოლამ — იქნება შენც ნახო ის შეჩვენებული... უოხარი, ხილომეს რომ შეხვდე, სალაში არ მისცე-თქო, არ გიპასუხებს-თქო... — და ამ სიტყვებით წერილი გადმომცა.

— მე შენს ადგილის წერილსაც არ მივწერდი, ბიცოლა! — არ მოუწონა საქციელი ბიცოლის ჩემში ძმამ. ამ შენიშვნამ ცოტა ლაპარაკი გამოიწვია სალომესა და ჩემ ძმას შორის; რომელშიაც დედაც ჩაერია. მე ერთხანს კუსმინე, და რომ შევატყვე, ჩემი ამბავი ავიწყდებოდათ, განუცხადე დაურიდებლად:

— მე წავალ, თორემ მაგვიანდება... თქვენ შერე ილა-პარაკეთ-მეთქი.

— კი, კი! უკვე დროა გზაზე იყო... კეთილი მგზავრობა!.. არაფრის შეგვშინდეს, იცოდე!... მითხრა ძმამ და საჩქაროდ ხელი ჩამომართვი. დედამ დამკაცნა, გზა დამილოცა და თავიდან ხელმეორედ მოჰუცა დარჩიგებას. ბიცოლაც გამომე-მშვიდობა. ამის შემდეგ სწრაფად შევატრი „მიმინოს“, მშვი-დობა კუთხარ ყველის და გზის გავუდექი...

— რა ვიცი, რაღაც გული არ მიძლევს მის მარტო გა-მგზავრებას ამ გზაზე, შეილო კოწია. დაგვიანებული არ იყოს, — მომესმა დედა-ჩემის სიტყვები; მაგრამ იმათ კურადღებას რო-

გორ შივაქცვდი? ისეთ გუნდაზე ეიყავი, რომ ქვეყანაშე ჩემისახისა
დამაბრკოლებელი ძალა არ მეგულებოდა... მისი ბრძოლია, რა
თქმა უნდა, რომ დედა-ჩემი ხან-და-ხან ძალიან სასაცილოა!..
რაებს იტყვის და იფიქრებს ხოლმე? გული არ შეძლევსო...
„გული არ შაძლევს“ საღამორია, როცა მე მთელი ქვეყნიდ-
რების ბატონიდ ვვრძნობ თავს ჩემს „მიმინოზე!..“ აი, შო-
რი, ცის ლავაზარით გადმომყურე მთებიც კი მესალმებიან და
მორჩილებას მიუხადებენ!.. ამის დედა ვერ ხედავს, თორემ...

— ჰააპაპ... გაგიმარჯოსთ!.. გაგიმარჯოსთ, ჩემთ ლა-
ზაზო მთებო!.. თქვენსკენ მოვფრინავ! ჩემ ცხენს „მიმინო“
ჰქეიან, მაგრამ ნამდვილად იგი რაშია: ერთს რომ აქ დაპა-
რავს ფეხს, იქ თქვენთან განწლება უმაღ. მართალს ვამბობ!

*
**

არაუერი სჯობია მარტო მოგზაურობას: როცა გინდა,
გაშინ გააქენებ ცხენს; როცა გინდა, შეჩერდები... ვერავინ
გეტყვის: ნუ შერები ამის! მე ლილინი მიუვარს ჩემთვის, რო-
ცა გზას ვადგევარ. „მიმინოს“ უყვარს ჩემი ლილინის სმენა.
ხან ერთ ყურს დაწურავს, ხან მეორეს; ფეხებს ააყოლებს ჩემს
ხმასა და მიფინთიხობს!

აი, ამ წუთში გზა ფერდზე ადის. აქეთ-იქით ხეიგანია
გაშლილი. საჭირო როდია მაინცა და მაინც გზას ადგე. შეიძ-
ლება მოლზე იარო. ცოტა განზე მთა იწყება. მის ძირში,
ვიცი, მშენენერი წყაროა... გადუხვევ გზიდან და „მიმინო“
ზედ წყაროზე მივიღდებ.

— გამარჯობა, რაკრავა წყაროვ! — ვეტყვი.

— გაგიმარჯოს!.. სად მიხვალ აქეთ?

— შორი გზა მაქვს: აი, მთებს იქით მივაღ. სამი დღე
და სამი ლამე უნდა ვიარო. იქ ერთი დევი ცხოვრობს, ქვეყ-
ნის მაწუხებელი. თავი უნდა მოესკრა და ჩემ ძმას მოუტანო.
ხანჯალი ისეთი ფოლადისა მაქვს, რომ როგორც ყველს, ისე

სურის რკინას. ჩემი ცხენი—რაზია: ისეთი სწრაფია, როგორც მიშინო!.. სახელადაც „მიშინო“ ჰქვიან...

— ცრუ... ცრუ... ცრუობ!

— არა გრცხვენია, რომ ჩემი არ გჯერა?.. მართალს ვამბობ... აქითობის დაგიმტკიცებ, თუ კაცი ვარ. თუ გინდა ჰყითხე ვისმე—ბიჭიკო სად მიღის-თქვა. ნახავ, რასაც გეტყვიან. ახლა არ მცალია. ნახვამდის!

საცოდავი წყარო... დედა-ჩემის არ იყოს, მაგასაც არ სჯერა ჩემი ვაეკაცობა. ალბად ის ბიჭიკო ვეგონივარ, ზარ-ზან რომ ვიყავ ამ მხარეს ჩემ ძმასთან ერთად.

ამა, სწორ გზაზე გამოველ. რა მინდვრებია. მთებიც როგორ შემორტყმიან გირშემო. მთები—მთები კი არ არიან, არამედ დევებია... ოლონდ მკვდარი დევები... სუ.. ვინ იყო, რომ ეს მითხრა? ჰო, დიღმა მიამ... უბედური დიღი მია! რა მშენიერი ზღაპრები იცოდა. ახლა ისიც მკვდარია... ჰო, როგორ სთქვა:

— მთამ მთას გასძახა: ფეხები დამიბურდა... მომწყინდა უძრავიდ ერთ ადგილს დგომით. მოდი, გავიდეთ მინდორზე, დავიჭიროთო!

ასე იტყუდა ხოლმე, ხმის აწევით: „მთამ მთას გასძახა“...

საწყალი დიმიტრი!.. როგორ მეწყინა მისი სიკვდილი... როგორ გამიხარდებოდა ახლა მისი ნახვა.

— აჩუ, მიშინო! ხომ არ დალლილხარ... ნუ გეშინია, მალე მიიღოთ!

თუმცა... რატომ იმდენ ხანს არ გამოჩნდა ეწერი? ძაბმ მითხრა: შემოუარე, რომ არ დაიბნეო. ჰმ... რა დამაბნევს? ისე გადავჭრი პირდაპირ, რომ ერთ წამში ბიძიას სოფელში შევალ. მაშა!.. თვითონ შემოუაროს, თუ უნდა.

მოიცა, მოიცა... ეს რა ამბავია, რომ მზე გაწითლებულა და გადიდებულა?

ბიჭის!.. ჩისელის ხომ არ აპირებს?

— „მიმინოვ“, დაგვაგვიანდა?.. სირცხვილი შენი ერთი კარგა მოქნეული მათრახი შევსთავაზე „მიმინოს“.. დაგვიანება არ იქნება.

ეწერი რომ არ სჩინს?.. საკეირველია, იმდენ ხანს მივლია, და ეწერი კიდე ვერ გამივლია ნეტავი, თუ მართალია, ეწერში მგელი იცისო!

ყოველ შემთხვევები დაღაშებამდის უნდა გადავლიახო ეწერი, განსაკუთრებით მისი ოლრო-ჩოლროიანი ნაწილი!— ბიძისას რო ვეიან მივიდე, არ ვარგა!.. დაწოლილები იქნებიან და შეწუხდებიან!..

* *

ამა, ეწერიც გამოჩნდა, მიგრამ... მზემაც რო თვალი დაჭრუქა. სინათლე მაინც კი არის... მოვასწრებ გადასვლას.

რამორცელაა ეს ეწერი! ზღვასავით გადაჭიმულა!.. პირ-დაპირ ცას მიპერებია, თოთქო მას იქით ბიძა-ჩემის სოფელი კი არ იწყებოდეს!.. მე კი ვიცი, რომ ეს ასე სჩინს, თორემ ნამდვილად მას ცასთან რა უნდა?

ცხენის სასიარულოდ კარგი კი არის მისი ზედაპირი: რბილია და სწორი; მაგრამ ერთ აღვილას ოლრო-ჩოლროიანიცა!

უცნაურია რილაცი ამ სალამოს ეწერი. იქ ლანდები გა-და-გადმოდიან,—დიდი ლანდები... ისინი სწორედ მთების სულებია! შეე რო ჩაეიდა, ისინიც აღვნენ და მიდი. მოდიან სადღაც. მე მათი სულაც არ მეშინია. ჰე... რაებს ვამბობ?.. სულ დამავიწყდა, რომ მხოლოდ ზღაპრებში იტყვიან—მთების სულებიო, თორემ, განა არ ვიცი, მთებს სული არა აქვთ!..

დაღამდა კიდეცა. თუმცა გზა კიდე სჩინს, მაგრამ ისე კი ძელიან ბნელია. ჩუმი, საიდუმლო შრიალი გაისმის. საკეირ-ველია: ერთი ხეც კი არ სდგას მთელს ეწერზე, და შრიალი კი ისმის?...

ჩემი „მიმინო“ რომ არ იყოს ჩემთან, მგონია, მეტყველებისა დებოდა. იგი კი ისე მიღის, როგორც დღის სინათლეზე.

— ყოჩილ, ჩემო „მიმინო“: შენი იმედი ყოველთვის შქონდა! — ხმიდაბლა კუთხარი ჩემ ცხენს და კისერზე ხელი გადაუსვი, მოვეფერებ. ისე როგორც ახლა, არახოდეს მყვარებია ჩემი „მიმინო“.

მაღვე მივადექ ოლრო-ჩოლროიან ნაწილს. „მიმინო“ თავისუფლად მივუშვი... სადაც არის უნდა გათავდეს ეწერი... ამ ადგილას უფრო ბნელოდა.

— ნეტაფი ვინმე შემხედებოდეს მეთქი! — და წინ ვავწიე... აქ დაბლა ჩავეშვი, იქ მაღლა ამოვედი... გარემომ უცნაურად მომისისინა... აქა-იქ ამართული გორაკები თითქო შეინძრნენ ჩემ დანახეაზე... თითქო გადაუჩურჩულეს ერთ-მეორეს:

— მოღის... მოღისო...

კი, ყური მოვკარი ამ სიტყვებს. ვიგრძენი, რომ შევპრო. მაგრამ მაინც არ შევმინებულება!

— ანუ! — დაუძახე მხოლოდ ცხენს. ამ დროს ჩემს პირდაპირ, ერთი გორაკის ძირთან, ჩემთან სულ იხლოს ვიღიაცა მხედარი გამოჩნდა. ერთდროულად ორნაირმა გრძნობამ შემიჰრო, — შიშმა და სიხარულმა. ვერ მოვასწირი გიმორკვევა, რომ მხედარი დამიპირდაპირდა.

— რომელი ხარ? — შეითხა სმა-მაღლა და შეტერდა.

მე პასუხი ვერ გვეცი. ვაშინ ის მომიახლოედა, მომიახლოედა... გადმოიწია ცხენიდან და სახეში შემომხედა. მეც შევხედე... და... და...

— ვამე! — წამოვიყვირე.

— ბიქიკო ხარ?.. რა გინდოდა ამ დროს იქვთ, შენი კირიმე! — ჩამესმა ყურში: — ყარაბანისას მიღიხარ?

მაგრამ მე უმალვე ჭუსლი ვკარი ჩემ ცხენს და წინ ვავშურე უსიტყვოდ, უქმოდ...

თითქო მემცნაურა უცნობი... თითქო...

— ბიჭიკო, ვერ მიცანი?.. ძია დიმიტრი ვარ!.. დამი-
ცალე...

— არა!.. არააა!—დავიძახე თავზარდაცემულმა და ამ
დახვეთქილ აღვილებში ჰქონებით წავიყვანე წინ „მიმინო“...
ხანჯალი ამოვილე ქარქაშიდან და ხელში დავიჭირე.

— მარჯვნით!.. მარჯვნით... თორემ დაიბნევი!—კვლა-
ვად გაეციგონე, შეგრამ ხმა ჩივიქმინდე. თითქო არაფერი მე-
ნიხოს, არც გამეცონოს. არ ვიცი, რაშდენი გავიარე. ერთ-
ხანს შემდეგ უკან მოვიხედე. არაფერი სიანდა. შევაყენე ცხე-
ნი. სახეზე ხელი შევისევი. ამოვისუნთქე. ზედი-ზედ სიმჯერ
გადეიწერე პირჯვერი.

— გადავრჩი! მადლობა ღმერთს!..—ვსთქვი.—შენი ჭი-
რიშე, ჩემო მიმინო, რომ ისე დამიხსენი!—ვუთხარი ცხენს და
ხელის გადასმით მივეფერე. სულ ოფლენი იყო—„მიმინო“...
მეც ოფლი მდიოდა. ხანჯალი ისევ ჩივაგე. ცოტა დავწყნარ-
დი და კვლავ გაუდექი გზის.

ეწერი კი არ ილეოდა.

— ნუ თუ მართლა დიმიტრი იყო?! ალბათ მომეჩენა!
რა თქმა უნდა—მომეჩენა! შევშინდი კი... ჰო... რა შევშინ-
დი. ძალიან შევშინდი!

იმასთან შედარებით, არც იმ წუთში გადამწყდა, პნელი
ლამე და ეწერი მისი ლანდებით ჩემთვის ახლა არაფერს წარ-
მოადგენდა საშიშს. ის-ლა მაწუხებდა, რომ გზა აღარ ილეო-
და

— „მარჯვნითო“, რომ მითხრა მოჩვენებამ, მარცხნით
უნდა გადამეხევია... ვიფუქრე, მაგრამ „მიმინო“ ისე ბეჯითად
მიღიოდა, რომ გზა უნდა სცოდნოდა უკეცელად.

ოლრო-ჩოლროც გავიარე... ამოვისუნთქე თავისუფ-
ლად.



— ახლა არა მიკირს-მეთქი — და შევგულიანლა, წმენა
დიღი ხანი არ გასულა, რომ ჩემსკენ მომავალს უკლიცებე
კვლავ მოფერი თვალი.

— ეს კარგია... ვყითხავ, რა იღვილას ვარ, და შორსაა
კიდე თუ არა ბიძაჩემის სოფელი...

დაუახლოედი და, ისიც არის უნდა ვყითხო, რომ საში-
ნელმა შიშმა ისე შემაქანა, რომ ძლიერ შევიმაგრე ცხენზე
თავი.

— ხომ გითხარი, ბიჭიკო, დაიბნევი-თქო!.. მოდი აქ,
შენი კირიმე... კიდე ვერ მიცანი, რომ დიმიტრი ვარ... შე-
ნი დიდი ძია...

მაგრამ მე არაუერი მესმოდა. ის კია ხანჯალი ამოვილე,
მოვიქნიე და ვიყვირე:

— გამიშვი!... გამიშვი!.. შენ მევდრის სული ხარ!!

— შემომხედე კარგიდ, ბიჭიკო!.. ნუ გეშინია, უცხო
არ ვაჩ: დიმიტრი ვარ... — და ამ სიტყვებით მოჩენებამ ჩემს
ლავამს წაველო ხელი. ეს რო შევნიშნე, ვისკუპე და ცხენი-
დან ვადაცე შეი. აზრი მომიტიდა — ფეხით მაინც გავეცხულვი-
ყავი, რა კი ცხენი დამიტირა. მაგრამ... ნაბიჯიც ვერ ვადა-
ვადგი: რალაცამ თითქო შემბორეა. მუხლები მომკვეთა. მინ-
და ვიყვირო მაინც... ვერ შევძელ.

— არა... არა... ჰა, შენი ცხენი!.. გონის მოდი, ვაერ!..
კარგი... კარგი! წავილ... წავილ, ჩემო ბატონო!.. შენ
ოლონდ ნუ შეგეშინდება! ჰა... დაიკი ცხენი...

ამის შემდეგ არ ვიცი, რა მოხდა.

როცა გონის მოვედი, მიწაზე ვეგდე, და „მიმინო“ ზედ
მაღვა, თავთან. ისიც ლელავდა, ქშინივდა. ივლექი. მოვეკიდე
ცხენს ხელი.

— მიმინო... მიმინო! — ვუთხარი და მივეხურე. კოტად
დამაშვიდა „მიმინოს“ სიახლეშ. მივეალერსე. ერთხანს ასე

დაკრჩი. შემდევ მივიხედ-მოვიხედე. მივაყურე. ჩემიმისახმარება
დან. „წასულა“, — გვიფიქრე. გულზე მომეშვა. შევჯეპ ცხენ-
ზე. კიდევ მივაყურე. რამდენადაც შემძლო, მივათვალიერე
იქაურობა. — „კი, წასულა!“ — გადავწყვიტე.

ମୁଗ୍ରାମ ଲୋକ ଯିବାରେ ହେଲା, ତାଙ୍କୁ ଦ୍ୱାରା ପ୍ରକଟିତ ମନ୍ଦିରରେ ଏହାର ପାଇଁ ପରିଚାଳନା କରାଯାଇଛି।

ပုဂ္ဂန်ရှင်၊ အမြတ်ဆင့် လျော့လျော့ ဖြစ်သော မြတ်ဆွဲ၊ ပုဂ္ဂန်ရှင်၊ အမြတ်ဆင့် လျော့လျော့ ဖြစ်သော မြတ်ဆွဲ၊

— ეწერთე ხეს რა უნდა?.. ალბალ იქ სოფელი იწყება! — კითქვი და იქეთ გავეშურე. როცა დაუიხლოდი, ხეებს შორის ცეცხლის სინათლეს მოვკარი თვილი.

— ჰეი, მაინძელო!.. — დავიკივლე შორიდანვე გახდებ-
ბულმა.

— ဒေါက လာ ဒေါက!.. နုတေသန ဘာလ? — မြတ်စွဲမာ ရှိခြာ အပေါ်
ဘာလ၊ လာ တော်ကျော် မိမ့်ဝိုင် အမြတ်ဆုံးလုပ်သေး၊ ဒုလ်ပြာ ပြောကြတဲ့ နိုင်
အိုးဖြစ်ဖိုး။ ဤတော် ပြောကြတဲ့ ပြောကြတဲ့... မိမ့်ဝိုင်ပြု လာဖော်လာ။

— ვინ ხარ? — ვკითხე და ვაწევ გავლენა.

— ბიჭიკო ხომ არ ბრძანდები, ბიჭიკო? მე გიგო გლე-
ხი ვარ... ჩემი ნუ შეგეშინდება! — მხიარულად მიპასუხა უც-
ნობმა და ჩემსკენ წიმოვიდა.

— გიგო-გლები?.. რომელი... — გვიცებით დავიწყე და
თვალებს ძალა დავატანე, რომ მეცნო. მეუწნოურა, ასე უცებ
ემ ღიმეში როგორ მიცნო-მეთქი.

— ალბად არ გახსოვის. მეტე მოგადონებ! მაშ, პიკიუმ
ხარ! სალამო მშეიღობისა!.. შემოგლამებია, ბატონო, ეწერ-
ზე!.. მაგრამ არაფერია. ის ეყვრ რო სინათლეა, ის ჩემი სახ-
ლისაა... მობრძანდი ჩემსა... ყარაბინისას მიბრძანდები ალბად,
მაგრამ ახლა გვიანაა!.. ჩემსა გაათიო ღამე... მოხარული ვი-
ქნები.—ამ სიტყვებით მომიახლოვდა, მოფერებით გადუსკე
„მიმინოს“ კისერზე ხელი და განდეგრძო:



— რა ღმერთმა შემახვედრა შენი თავი?.. აგრე შეზობლისას მივდიოდი... ყური მოვკარი: ვიღაცა ცხენოსანი ჩემსკენ მოდის. ვინ არის, ამ ღამეში რომ ჩემსა მოგჩერებამეთქი... როგორ ვიფიქრებდი, რომ ბიჭიკო იქნებოდი. წამობრძანდი, შენი ჰირიძე. ბედნიერება სწორედ. ჩემს დედაკაცს ძალიან გაუხარდება.

არ დამაცადა რამე მეთქვა; წამიულო ალვირზე ხელი, გამიყოლია უკან და წიმიყვანი. თუმცა კი ვრცელი დაბნეული შიშისაგან, ხოლო იმ წამში არც იმდენად, რომ ვერ გამომეკითხა მისთვის ზოგიერთი ცნობები, მაგრამ ვერ მოვახდება. ვუდილობდი მომეგონებია ეს გიგ-გლები და არ მაგონდებოდა. ის კი განაგრძოდა და განაგრძოდა ლაპარაკს...

სახლს რო დაუახლოედით, ეზოში შესავალ კარზე შევნიშნე ანთებული ჭრაქი. ყურიც მოვკარი ჩურჩულს: „სუ... მოდიან... მომყავს... მომყავს“!

— ჰეი, რომელი ხარ მანდ... სტუმარი მომყავს, დამხედით!—გასძახა ჩემმა უცნოურმა მასპინძელმა სახლისკენ.

— მობრძანდით... მობრძანდით!—მოისმა სახლიდან და ვიღაც ქალი მეორე ანთებული ჭრაქით გამოვიდა გარედ.

„მომელოდნენ, თუ ეს რა მაბავია?“ გამიელი აზრად. ექვები დამიტრიალდნენ თავში. მაგრამ რა გზა მქონდა მეტი: უნდა ბოლომდის მივყოლოდი.

ეზოში რო შევედით, ქალი სამი პავშვის თანხლებით მოგვეგება. გიგ-გლებმა ცხენიდან ჩამომსეა.

— აი, ვინ მოგიყვანე, ქალო... პატარა აზნაური... ბიჭიკო გახლავს, ყარამანის ძმისწული, ჩემი ნაბატონარი დიმიტრის ნათესავი,—მიმართა ჩემმა მასპინძელმა ქალს და თან ამათვალიერ-ჩამათვალიერი. მეც დავაკეირდი ჭრაქის სინათლეზე.—ჩემი ნაცნობი არ უნდა ყოფილიყო. არ მაგონდებოდა მისი სხეუ. მაგრამ ისე მომეპყრნენ, ისე მომექცნენ,

ରନ୍ଧା ଦିଲେ ରନ୍ଧାର ଗୁରୁମିଶ୍ଵଲଙ୍ଘିତିରେ... ଡିଲୋର ଦିଲୋର ପିଲାମିଶ୍ଵଲଙ୍ଘିତିରେ...
ଶାଖାରେ...

— ხომ არ შეგეშინდა ეწერის, ბიჟიკო?.. ან ცხენიდან ხომ არ გაღმოვარდნილხარ?.. დასკრილი გაქვს ჩოხა... თუ... ეს რა მშენება? ხანჯალი რა უყავი? ქარქაშიდან ამოგიფატდა?

მსინჯაედა, გარს მიტრიალებდა და მეუბნებოდა მასპინ-
ძელი. მც მხოლოდ პირველი ვამჩნევდი, თუ რა მჭირდა...
როცა ხანჯლის სხენებაზე ხელის წაელება მინდოდა მის ტა-
რისთვის, ქარქაში მარტო შემრჩი ხელში. შემჩრდა. ვაკ-
წითლდი. ვერაფერი მიუგებ გიგო-გლეხს. —რომ ამოცილებ ხან-
ჯლი და დიმიტრის სულს მოვუპნიყ, ის კი მახსოვდა, ხო-
ლო ჩაგება არა.

— დაიცა... დაიცა... ამის რას ვედავ? დაჭრილიც ხარ? მიჩეუნენ ხელი! ეს სისხლი საიდანაა? ბიქოს!.. დედაკაცო, მოანათე იქეთ ჭრაქი! ვერა ხედავ, ბიჭიებს რაღაც დამართნია...

სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის მასპინძლის აღ-
მოჩენა! მართლაც, ხელი სულ ერთიან გასისხლიანგებული
მქონდა. შემეზინდა. ძლიერ ვიცანი ჩემივე ხელი... დავიბენი.
გვეცეშდი.

— აბა, თბილი წყალი, მაღვ! — გისკა ბრძანება გიყო-
გლებმა და დაფაურდა! — ამას რას ვხედავ, შენი კირიმე...
რა იყო, რა მოვიფიდა, ბიჭიკა?.. დაგჭრა ვინშემ თუ?.. აფი
ვინმე შემოგხვდა და გაწყვენინა?

— უი, შეილო... ჯეარი აქაურობას!.. ხელი გაგიფხა-
კნია... მომეული აქეთ: დაგბანო, შევიხვიო... — შეუბნებოდა
დედური მზრუნველობით გიგო-გლეხის ცოლი და თავს შევ-
ლებოდა... — ვინ იყო ის დალოცეილი, რომ ასე შეუშინე-
ბიხარ?

— გვითხარი, ბიქიქო... ვინ შეგხვდა ეწერზე, რომ
ისეთი სიქმე დაუმართნია შენთვის? — მკითხა ბოლოს მისარ-

ძელმა და ისეთი გალიმებული სახით შემომხედა, უცნობი კაცი დიდი ხნის ნაცნობად წარმომიდგა.

— კი... მკედრის სული შემზედა... — უკპასუხე და სულაც არ მოველოდი, ისე აეტირდი.

— მკედრის სულია? რას ამბობენ, ბიჭიკო: მკედრის სულს ეწერზე რა უნდოდა?

— ეს რა სოკვი, შეილო?.. მკედრის სულს აქეთ რა უნდოდა?

თვალები ფართოდ დააღეს და ისე მომაშტერდნენ მას-პინძლები. ბავშვებმაც გაიკვირვეს ჩემი განცხადება. ერთმა მათგანმა, უფროსმა, დამკინად ჩაიღიმა კიდევა და მალულად სახლის მეორე თვალისკენ გაიხედა.

— სუ, ჩუმად იყავ შენთვის! — ხელის წაკვრით გაუწყრა მას დედა-მისი.

ჩემ სიცოცხლეში ამდენი სირცეებილი არ მინახავს...

— კი, მაგრამ რა იცოდი, რომ ის, ვინც შემოგვხდა, მაინცადა-მაინც მკედრის სული იყო? — შემპარავი და ნაზალერსიანი ხმით მკითხა ბოლოს გიგო-გლებმა, როცა მისმა ცოლმა ხელი გამჩანა და შემიხევია.

— როგორ არ ვიცოდი?.. ვიცანი... დიმიტრი იყო...

ამ ჩემ სიტყვებზე სიცილი წასკდათ ბავშვებს. მაგრამ უმალვე შეიკავეს. დედა კვლავ გაუწყრა მათ.

„ნეტავი, რას ნიშნავს მათი სიცილი“? გავიფიქრე და გამწყრალი შევხედე ბავშვებს.

— სულელებია, შენი ქირიმე... ყურალებას ნუ მიაქცი! — დამამშეიდა ქალმა.

— მერე რა უყოთ, რომ დიმიტრი იკანი... დიმიტრი ხომ მკედრის სული არ იქნებოდა? — ჩამეკითხა გიგო.

— ის ხომ დიდი ხანია, რაც მოკვდა... ჩვენი გულები მოკვდეთ ცნობა!.. ჩვენი ნათესავი იყო... დაუწყობელ პასუხს ვაძლევდი შემქითხავს.

— უიმე, შვილო... შეცდომაა... ტყუილია!... შენ მკვდარი კი არა—უოცხალი გინახავს!—იკივლა ღიასახლისშია.

— თქვენ ალბად არ იციო ჯერ კიდე ამბავი...—წაფილულლუდე.

— არ ვიცით რომელია!.. მეზობლის ამბავი არ ვიცით?.. მაგრამ ჯერ ამას თავი დავინებოთ... მოდი აქ, დაჯექი, ბიჭიკო,—დაისვენე: ვამშემი მიირთვი... მოყერის სახლში ხარ. დაივიწყე ეწერი.

დამსვეს სკამზე. გვერდით ვიგო-გლეხი მომიჯდა. მისი ცოლი კი ვახშის თადარიგს შეუდგა.

— რა გითხრა, ბიჭიკო, იცი?.. შენ ახლა შეშინებული ხარ, თორებ, როცა შიში გაგივლის, არ იტყვი—მკვდარი კაცი ვნახე, ეწერში რო დადიოდა! აბა, ნასწავლი კაცი მაგას როგორ იტყვის? დიმიტრი უოცხალია. ამ სალამოს ჩვენც ვნახეთ იგი, როცა ეწერისკენ მიდიოდა... დამიჯერე. მისი სიკედილი ტყუილია. სახლში მოუტყუებიხართ. ტყუილი ამბავი მოუტანიათ... მაშ...

— კი, შვილო, ტყუილი ამბავი მოუტანიათ სახლში თქვენ-თვის!—დაუდასტურა სიტყვა ქმარს ცოლმა.

— დიმიტრი კარგად არის... ივადაც არ ყოფილა!..— განაგრძო ისევ ვიგო-გლეხმა, მაგრამ აქ მისმა უფროსშია შეილმა გააწყვეტინა სიტყვა:

— აქ არის ძია დიმიტრი!—წამოიყეირა და ისე შემომხედა თვალებში, თითქმ საიდუმლო გამანდო.

— სთქვა, სთქვა მაინც!..—გაეცინა ვიგო-გლეხს.

— რა გაუჩერდება ენაზე!? — ლიმ-მორევით გრძელი დრიპ-სახლისიც.

— აქ არის... აქ არის დიდი-ძია! — წამოიყვირეს ბავშვები და ერთი ამბავი ასტეხეს.

— განუმდით!.. ბიჭიკოს ჯერ კიდე არ სჯერა, რომ დიდი-ძია ცოცხალია... მათქმევინეთ... — ჩააჩუმა გიგო-გლება ბავშვები და მე მომიბრუნდა: — აი, ბიჭიკო, ამ პატარებ-მაც კი იყიან, რომ დიმიტრი ცოცხალია და...

— ახლა ბიჭიკომაც იყიან! პატარო ხომ არ არის, რომ ამდენს არ დაგვიჯეროს, — ჩაერია ცოლი. — ხომ გჯერა, შეი-ლო, რომ ის დიმიტრი, რომელიც ნახე ეწერზე, მკედარი კი არ იყო, არამედ ცოცხალი... ის აქ, ჩვენსა არის, და თუ კიდე არ შეგეშინდება, ახლავე შენთან მოვა!..

ერთხანს მეგონი: „ჩემი დამშვიდება უნდათ, და ასე იმი-ტომ ლაპარაკობენ-მეთქი“. ბოლოს კი მართლაც დავიჯერე მათი სიტყვა, თუმცა დიდხანს კი მქონდა ექვი და გალურ-სული ვიჯექი.

— არ გრცხვენია, ბიჭიკო... მკვდრის სულად გადამძე-ციე დიდი-ძია? — მომესმა წყნარი ნაცნობი ხმა დიმიტრისა. მოვიხედე. თეთრ-წვერიანი ძია დიმიტრი უკვე შემოსული ოთახში და ჩემს უკან დამდგარა. უნებლივდ წამოვხტი. უკან დავიხიე და გაოცებული მივაჩერდი დიმიტრის.

— რას მეტაოდი, ბიჭიკო, რომ ხანჯლითაც არ დამზო-გე! მოდი ჩემთან... ხელი გაიქვერ, არა?!.. გრუვა?.. დამა-ცადოს კაწიამ, რა დღე გაუთენო, რომ შენ ასე გვიან და მარტო გამოგიშვა ამ სიშორეზე!.. — ამ სიტყვებით მოვიდა, დასწია თავი და შუბლზე მაკოცა... შეც ვაკოცე.

ჩვენი მასპინძლები კი ბავშვებიანად იცინოდნენ მარტივი გამას გვეხვდონენ.

* * *

იმისე ღამეს, ნაფაზშევს, ძია-დიმიტრი და მე ბიძია ჩე-
მის, ყარამანის, სახლისკენ მიეთოხარისკოდით.

— ასე, ჩემო ბიჭიკო: მკვდრის სული გეგონე, არა? შეგეშინდა, ძალიან შეგეშინდა, არა?.. მეუბნებოდა დიმიტ-
რი გზაზე.— მაგრამ არაფერია! სამაგიეროდ, როცა გაიზდები,
სასიამოენო მოსაგონარი გექნება. მოუყვები პატარებს შენ
თავგადასავალს, როგორც მე მიამშნია შენთვის მრავალი ჩე-
მი... იცოდე, ამიერიდან თუ ვისმეს სიკვდილი გაიგონო და
შემდეგ ცოტალი ნახო სიღმე, ისე ახსენი და გაიგე, რომ
ტუშილი იმბავი გაგიგონია... თორებ ცოტალივით მოარუ-
ლი მკვდარი ვის მოსწრებია?.. აი, რა გითხრა: როცა მეო-
რეჯელ შეგხვდი ეწერზე და შეგატყვევ, რომ ჩემი გეშინი-
და, ხანჯალი იმოიღე და ცხენიდან გადავარდი, გადავწყვიტე
თავი დამენებებია და მახლობელი სოფლიდან სხვა ვინზე გა-
მოშეგზავნა შენთვის საშველად. სწორედ ვიგო-გლეხის სახ-
ლი ახლო იყო ეწერთან, და იქ მიველ. ვიგო-გლეხი გამოუ-
დილი კაცია, მიშვედრია და კევიანი. როცა გვეაგვებინე სა-
ქმის ვითარება, მაშინვე შენსკენ გამოიქცა! „ჯავრი ნუ გაქვს,
ბიჭიკო მე მომანდევიო!“ ეკი კიდეც შეხვდით ერთმანეთს
და იმან გიშველა. ვიცი, შენ გრუბენია ახლა: გულში ფიქ-
რობ, ეს რა დამემართა, თავი როგორ მომექრომ?!. მაგრამ
შენს ადგილას სხვას უარესი დაემართებოდა!.. ხუმრობა ხმა
არ არის, თუ დარწმუნებული იყავი ბიცოლი სალომესავან,
რომ მოკვდი, და უცებ კი ამ ღამეზი ეწერზე შეგხვდი.



გეუბნები—ვაცყაცი ყოფილხარ, თორემ სხვა კერაზედაც-კი ადვილად შეიშლებოდა. ნურავინ იტყვის, ისეთი გულადი ვარ, რომ არაფრის შემცინდებათ. შიში ისეთი გრძნობაა, რომ ყველას კი აღეძერის: დიდიაც, პატარასაც, კაცსაც და მხეცსაც... ლომიც და ვეფხვიც კი შემცინდებიან ხოლმე! ჰო, შენ მითხარი, ბიუოლა ხალომეს წერილი მოუკიდა ჩემი სიკვდილის შესახებო?.. ან ვიღაცას მოუტუშებია ბიუოლა შენი, ან თითონ ბიუოლას ვერ წაუკითხავს კარგად წერილი!.. ამისაც გამოვიძიებთ, ოლონდ კარგად ვიყოთ და ვიცხოვოთ,—დაათვა სიტყვა ძია-დიმიტრიმ, და ისიც იყო ყარა-მანის ეზოს მივადექით.

რა ხაჭირო გითხრათ, თუ რა ამბავი გამოიწვია ჩემმა თავგადასახალმა ბიძია-ყარამანისას?.. ზოგი იცინოდა, ზოგი შემცინებული უსმენდა ჩენ მოთხრობას და ზოგიც ჰყეირობდა:—ეს რა მომხდარა?.. ღმერთო, რა მესმისო!!

*
**

სახლში რომ დავბრუნდი სამი დღის შემდეგ, ჩემიანებს ვახარე:

— დიმიტრი ცოცხალია, და ბიუოლა მოუტუშებიათ-მეთქი.

— ახ-თა ეს ჩვენც ვიცითო!—მიპასუხა ძმამ. — შენ კი შენი თავგადასახალი მოგვიყენო.


— თქვენ რა იცით, რომ დიდი-ძია ცოცხალია?—ვკითხე კვლავად.

— თითონ დიმიტრიმ მოგვწერა. თურმე ჩვენ ბიუოლას კითხვა დავიწყებია... წერილში ნამდვილად ყოფილია: „დიმიტრი დიდი ხანია მოვიდაო“, და იმას კი ეს „მოვიდა“

„მოკვდა“ ჰგონებია!! თუმცა, მართალი რო სთქვას უწევდეს უზრუნველყოფის არეულად კი სწერია ეს სიტყვა წერილში და ისიც გაისა-
კილ ადგილას... თუ არ დააკვირდი განსაკუთრებით — „მო-
კვიდაც“ არის და „მოკვდაც“... მაგრამ ეს არაფერია... შე-
ნი ვაეყაოცხის ამბავი მოჰყევი! — სთქვა ძმამ და სასიყვარუ-
ლო დაცინვით მაკომა... დედა კი ხმის-ამოულებლად მეა-
ლერსებოდა და დაჭრილ ხელს მისინჯავდა...

დედო ქახჩელი.





ჩემი სიმღერა

(სოლისტიური)



ერცვით შხოლოდ ერთ სიმღერას,
მივდევ მხოლოდ იმ ერთ ჰანგსა,
და მას უმღერ უბანკო ყრმას,
როს ძილისთვის ლულივს თვალსა.

პაწაწინა, მორთულ აკანს
გადავაჭდევ ნაზად მკლავსა
და სიმღერას ვერცვი ნორჩ ყრმას,
როს ძილისთვის ლულივს თვალსა.

ანგელოზი ფრთის შერხევით
გაულიმებს ონავარსა
და უსიტყვოდ, თითის ქნევით
ცელქს შეუთვლის მუქარასა.

ცელქი ერცვის:—მემუქრები?
გაჯავრებით რად მიყურები?
ოლონდ შენ ნუ გამიწყრები, —
ი, ეხლივ დაეიძინებ!

ანგელოზი შორთულ აკვანს
სიყვარულით მოხვევს ფრთასა
და სიმღერის ეტყვის ნორჩ ყრმას,
როს ძილისთვის ლულავს თვალსა

უმღერს: ცაში ვარსკვლავთ ჯარი
როგორ ბრწყინვას, კრთის, კიალებს,
და მის შეა მოვარე ბალრი,
პირ-მცინარი დასრიალებს.

უმღერს: ციურ კამაბ ზღვაში
შეე მხურვალე როგორ დგება,
ზეცის ტურთა წალკარ-ბალში
ვარდი როგორ იფურჩქნება!

იმათხე კი, ვინც მწარე ბედს
ებრძეის, წელში იღუნება,
ვინცა სწყევლის გაჩენის დღეს,—
არას ეტყვის, გაჩუმდება.

ვინც სულსა ჰლევს ტყვეობაში,
სმენას უბშობს ბორკილო ელერა,
ტანჯვით კვდება მონობაში...
სლუშს იმათხე მის სიმღერა.

არას ეტყვის, ვინც ბნელ ლამით
ნაღვლიანად უმწერს ცასა
და მოელის კვნესით, ვარმით
უიმედო მომავალსა.

გეტყვით მხოლოდ ერთ სიმღერის,
მივდევ მხოლოდ იმ ერთ ჰანგსა,

ଦୋ ମାସ ପୂର୍ଣ୍ଣ ପୂର୍ଣ୍ଣ ପୂର୍ଣ୍ଣ
ହନ୍ତି ମିଳିଲିଲିଗିଲି ଲୁହାଲାଘେ ତଙ୍ଗାଳୀଶା.

ଗାଲିମ୍ବେଦୁଲିଶ, ତୁମ୍ଭି-ଗାରିଦୀନି
ଦାଫାଲିଶୁରିବ ଦରିଲାନି ନାହିଁ,
ଯେତୀପାର ତଙ୍ଗାଲିଶ-ପ୍ରେଆପେଲିଦୀନି
କ୍ଷେତ୍ର ସିମ୍ବୁରୀରି ରହିଲୁଲ କିନ୍ତୁ ଶା!

କରିବାରିବାରି
ପରିଚାରିବାରି

୬—୩୮





* * *

(დამუშავდე)




ხარე ბრძოლიდან დაბრუნდა გმირი, —
დააჯილდოვეს საჩუქრებითა;
მისი ღიღება ყველგან გავრცელდა, —
ისეენიებდა ხალხი ქებითა

მეულლე მისი ჰეკუნის, ეხვევა: —
„ოჲ, რა რიგ მოყვარს ჩემი გმირიო!..
დედა კი ჩუმად ჭვითინებს, სტირის:
არ სსურს დაპჟოუნის თავის შეილიო.

— რა იყო, დედავ, რა დაგემართა:
რად არ დაპჟოუნი საყვარელ წულსა?
— ოჲ, შეილო ჩემო, სხავა დედათ გმინვა
ჩემს ყურს მოესმის, მიწუხებს გულსა;
შენ დაუხოცე იმათ შეილები
და მიუმატე წყლულები წყლულსა!..

დ. ელიოზაშვილი.





ბუნების ბაღში

(ქართველი).

დედმიწა ჯერ კიდევ ძილით იყო მოცული,
როცა ოღმოსავლეთის კარი შემოჭედის უხა-
ლავშა ხელმა შეარჩია, ქვეყანას შევი მანდი-
ლი შემოაძრო და კის უხილავ სატრეკლოზე
ცისკრის ზარი იამლერი.

ბუნება შევრთა...

განთიადის სიცილშა თეთრი კალთა გაშილა; მას უკან
მოსდევდა სიცოცხლის მზე,—მზე, რომელსაც თან მოჰქონ-
და სიამე და სიხარული.

— მადლობა ღმერთს!.. წაიჩირჩიული ბუჩქის ძირის გა-
ნაბულშა იამ და სატრეკლოდ გადელილი გული მზეს მიუ-
შვირო.

— სსსს... — ნარნარი რხევით დაპქროლა მთაზე ნიავეძა.
ატოკდა ბუნება: სიცოცხლის ძალა იგრძნო. ტყე ახმაურდა,
ფოთლები აშრიალდა, და ტოროლა ლოცვა-წკრიალით მარ-
დათ შესრიალდა აკამქამებულ ლავვარდ სივრცეში.

მორაკრაკებს მთის ანკარა წყარო, კლდის კვავილთა
გვირგვინებს გულში იხუტებს და კვლივ მიჰქრის, მიჰქრის
გამალებული, — ზეირთზე ზეირთს მიათამაშებს.

— მოიცა, დასკვერებული გადასახლები?... — მოსახლეობა დასკვერებული გადასახლები.

— Հոստյով քազելցը: Շպյորունո շմհառձա քառլս գամենցեցնեցն... Ցց մեսուն և կառ ին մոյքիրուց... — զայշարութեան վանքութեամբ անյահամ և ուժորո նմացած քայլեան ընթալուն.

ყვავილებში მორცხვად შეარჩის თავები და შურის თვალით გადახედეს მჩქეფარე ზეირთებს.

— ბელნერი ხარ!... — ერთხმად წარმოსთქვეს იმათ.

— აბა რა ყოფია თქვენი ყოფა: ხადაც დაბალებულიხართ, იქვე უნდა მოკვედეთ. არ შეგიძლიათ მგზავრობა, არ შევიძლიათ ისილოთ დიდი ბუნების სხვა-და-სხვა კუთხე. კიდევ კარგი, რომ დიდანის არ ცოცხლობთ, თორემ მაგ თქვენ სურნელოვან გულში კია-ღუა დაიბუღდებდა; მაგ თქვენ ცის-ფერ, მინაბულ თვალებში სიფაქიშის და საონოების ნაცვლად სიბინძურე მოიცილათებდა.

ესა სოფები ან კარიშ და მსურაფლ გაშეღა ბროლის მკერ-
ლი, ხადაც მზის სახე გამოხატულიყო.

Կազմության պրոդյուսերներն...—հիշեց Տուրովելը թան-թոյ-
լուա...—Վասիլիկի վրա ըստունց ետք է.

— უძრავი... მოწყენილი... ერთ დღისას მიჯაჭული... ან კარის რა უშეგს: მის გულში მზეც ბუდობს და მთვარეც. შეუძლია სულ წინ იტანოს, სულ ილოვლივოს და იმგზავროს. აახმაუროს მდრებარე ჭალები, კლდეები და ველ-მინდვრები. გადალახოს მთელი ხმელეთი და ყველგან იმლეროს მშვენიერი შინის ასულის საწერარო სიმრტეები.

ჩვენ ციკლით იმ შეფერხახვის ზღაპრები, მაგრამ ვის
უნდა უმბოლო ურენა ჩვენ არ შეგვიძლია და სირბილი. ჩვენ-
თან თუ ვინმე მოვა, არც-კი დაგვაცლის სულის მოთქმას, მო-
გვწყვიტს... და ჩვენი სიცოცხლე იქ თვიდება.

ისევ ატირდნენ ყვაფილები და ცრემლიანი თვეოლები
შექს მიაპყრეს, თითქოს განთიალში ეძიებდენ მარატისობას...

მზე მაღლა-მაღლა აიწია და თმა - ხუპუკ ბატქის მოელფარე სხივები.

პატარა იმ სიამოვნებით გაილიმა და მოკუმული ტუჩები იღწია გაშალა.

— არა!.. მზე რომ არ იყოს, ჩვენი სიცოცხლე ერთ ნირადაც არ ეღირებოდა. ნახე — როგორ ბრწყინვას, როგორ ციმციმებს!..

— სსს... საბრალო, შენც მზისაკენ მიისწრაფეი! — დამცინავი ღიმილით შეუტია სიომ.

— მე მზე მიყვარს!..

— ხა! ხა! ხა!.. ჯერ მიწას არ ასკილებიხარ და ვინ მოგვა საამისო კკუა, რომ მზე შეიყვარო?

— მე მზის ასულის ზღაპარიც ვიცი!..

— სტყუი: აბა შენ ვინ გეტყოდა მზის ასულის ზღაპარს?!

— ყური მოკვარი, განთიადზე ბულბული რომ ვარდს უგალიობდა.

ვიშ, რა კეთილი ყოფილა მზის ასული!.. როდესაც ის დაუბრუნდება დედამიწას, უკვდავების შუქით იმოსება.

სიყვარული და სათნოება გამეფედება.

ადამიანებიც, ეს ბოროტი ადამიანებიც, — ღვთაებრივი გრძნობით აღისებიან და ხელს აღარ მახლებენ.

— ნუ სულელობ: ტყუილია შენი იცნება!.. მარადისობა არ არსებობს: სიცოცხლის აღსასრული — სიკედილია.

ია შიშისაგან მოიკრუნხხა. თვალები დახუჭა და მთელი იმისი არსება ბუნდოვანში ფიქრებმა გაიტაცა.

დასავლეთისკენ გადახრილი მზე ნალელიანად ესალმებოდა არემარეს, როდესაც ია გამოერკვა ფიქრისაგან და თვალი გაახილა.

— ყველაფერი სიზმარია!.. — მწუხარედ წარმოსთქვა და შეშინებულმა არემარეს თვალი მოავლო.

— მართალია, მართალი... იყერ მშეც ჩადის... ჭერაშაბაზ
ლამის წყველიადი მოეფინება, და ვინ იცის—ლილის ვიხილავ,
თუ არა. იქნებ ქარიშხალიც ამოვარდეს...—ეუმ, ჩემო დაო!..
ამოიკნესა გარემა და ოონებიხრილმა ჩაპირდა თავი.

— რამდენიც უნდა ვიდარდოთ, სიცოცხლის ბოლო კი —
სიკეთილია.

გაიცლის ბნელი ლამე... გაიცლის ქარიშხალი... მოწმენ-
დილ ცაჲე ისევ გაიკისკისებს განთიადის სიცილი; მზე ისევ
გაშლის ოქროს კალთას....

ცას ლამის ბინ-ბუნდი გადაეფარა... ყვავილებში ცრემ-
ლით მოლლილი თვალები მოხუკქის და მწუხარედ ჩატკიდეს
თავი...

მხოლოდ არ დაცხრა მთის ანკარა წყარო. ის თითქმის
დასტურებული და მომზადებული კვნესას. ჩუქჩები-ჩხრიალით წინ მიჰ-
ქოდა, სიუღუბლის ძალით იღზნებულ; და მორჩაკრაკე ზეი-
რთებში მეფიოდ გირსმოდა:

— წინსევლა და ბრძოლა!..


ମହାକାଳ





ՂՇԻՌԱՐՈ մռնացորյ

I



ամուսին յրտ գոլած ցշրջեն Ծրածածեց
ի հայություն ինոնազմակա օքրունաց
ի մոռջա, զազակոմա ուցուն ս մուշրացու
ծլուց-զանա և գաշրւյու հեղին:

— Մյ մոլու ցշրջա, ցշմուն մյ առ
ցոտեարո, հոմ ևուսամ-գոլած ցացըլազո-
մեցոնց! Ցնու ամուսելունուս նաեցարո ցնա ցացլունու պնդա ցայտո-
նուն և ա Մյնո վիպունուտ պյաց յո ցացըուցենդա! Օցսուս առ
առուս, հոմ Մյնու խարչա և չամացորս զատերյե!

Տա ըստ պատմություն ծագունո օպու ալյալազենուլո, հոմ
և օձուանուսացան Ծյուուլու յո վամուսւրդա: Ֆարտալու, մուս ս մու-
շրացու ծլուց-զանա ծագունուս խարչուտ կմայութունո օպու, մացրամ
ացը ես տու-ցէցս վիպունուդա Ծրածածեսունտ ոչան ցմեսանուրյեա
և մուս չամացորս պացըլ վիպունույ օվարյեա.

— Վեալունա վիպունուն օնդուշրացու մասս...

— ხმა გაკმინდე, შე ვირო! როგორ თავსაც იმურთლულის პირა
ადექ ჩქარა, ხურჯინში პური ჩაალაგე... ჟველი, კვერცხები,
ხელადით ღვინო... მარილიც არ დაგვიწყდეს: მწვადების-
თვის დაგვჭირდება!

ბლუ-ვანა მარდად წამოხტა და ტანისამოსი ჩაიცეა. წინა
სალამოს გამზადებული ხურჯინი მხარზე გადაიკიდა, ხელში
დიდი კომბალი იილო და გამოუდგა თავის ბატონს, რომელ-
საც მოთმინება დაჭკარგოდა და უკვე გზას გასდგომოდა.

ბატონი გურგენი და მისი მსახური ვანა სანადიროდ მი-
დიოდნენ ვეძაზე, სიდაც წინა დღებში იქ სოფლელმა მონა-
დირებმ, გარჯილაანთ კესამ, ორი ირემი ერთად მოჰკულია.


გურგენი დარწმუნებული იყო, რომ იყი ნადირობაში
კესას არ ჩამოუვარდებოდა და არც თითონ დაბრუნდებოდა
შინ ხელცარიელი.

მონადირეები გასცილდნენ სოფელს, გაიარეს მინდვრე-
ბი და შევიდნენ ტყეში. აქ 5—6 ვერსის მანძილზე სოურმე
გზით იარეს, მერე კი დაადგნენ საცალფეხო ბილიქს, რომე-
ლიც მთის ფერდობზე მიიკლაკნებოდა.

რამდენად მაღლა ადიოდნენ მონადირეები, იმდენად თოვ-
ლი ლრმა და გაუკვერავი იყო. ამიტომ მათ თან-და-თან სია-
რული უძნელდებოდათ და უეხს უკლებდნენ.

სანამ სახელ-განთქმული მონადირე ბატონი გურგენი და
მისი არა-ნაჯლებ სახელოვანი „მოურავი“ ბლუ-ვანა ვეძამდის
იყლენ და იქ ირმებს დახოცავენ, მეტი არ იქნება, მკითხვე-
ლო, გავიცნო მათი ვინაობა.

გურგენი ლარიბი აზნაური შვილი იყო. მამა მისი თავის
ლროს ლეინის სმისა და თამაღობაში განთქმული იყო კახეთ-
ში. უეპველია მთელ საქართველოშიც მოიხვეჭდა პირველო-
ბის სახელს, რომ ერთხელ ღვინო-ნასვამი ცხენიდან არ ჩა-
მოვარდნილიყო და უდროოდ არ გამოსალმებოდა თავის დიახ
პატივსადებ ასპარეზს.



რადგან ბედმა მას მოკლე დღე მისცა, მეც აღრის ფრთხისა
გრძელებ მასზე სიტყვას.

გურგენის პაპა ქაიხოსროეს თავის დროს ფრიად სახე-
ლოვანი გვამი იყო. იგი მოღვაწეობდა სულ სხვა სარბიელზე,
სახელდობრ: სამხედრო უწყებაში. გუნიბის სიმაგრეში შემი-
ლის დატყვევების დროს იგი თურმე პირველი შეიკრი თავის
რაზმით, რაზედაც გენერალმა ბარიათინსკიმ მთორის ჩინზე
წირადგინა და თავის მხრითაც საუცხოო ხმალი აჩუქა სახსოვ-
რად. ასე უამბობდა ხოლმე ყოველ მიმსვლელს დიდი ქალბა-
რონი ქეთევანი მორკალულ და შეერტყლილ ხმლის ისტო-
რიას, რომელიც სხვა იარაღთან ერთად სასტუმრო თახასის
ერთ-ერთ კედლებზე იყო დაკიდული.

მომსწრეთ ქაიხოსროს მოღვაწეობის ხსენებული ეპიზო-
დი ცოტა სხვანაირად ასსოვდათ: მათი სიტყვით, გუნიბთან
ცხარე ბრძოლის დროს ქაიხოსრო საიმედო კლდეზე იყო
ამოფარებული, და, როცა მისი რაზმი სიმაგრეში შეიკრი,
იგი თვითონ გაიქცა ამ სასიამოენო ამბის მოსახსენებლად გე-
ნერალთან, რომელიც თურმე დიდად გაურიისხდა მას სერიო-
ზულ დროს რაზმის თავდანებებაზე.

შემილის დატყვევების შემდეგ ქაიხოსრო მთორის ჩინით
სამსახურიდან გამოვიდა და თავისი დღენი ლხინსა და ნადი-
რობაში დალია. რამ შეუშალა მას ხელი, რომ გენერლის
პრტყელი „პაფონებით“ დაემშვენებინა თავისი განიერი შხარ-
ბეჭი, ამას ვერც პატივცემული ქალბატონი ქეთევანი გეტყო-
დათ და ვერც სადმე საისტორიო მასალებში ამოიკითხათ.

შეიძლება, მკითხველნო, იფიქროთ: გურგენის ენაობის
აღწერას დაგვპირდი და მის მამა-პაპაზე კი მოგვიყვაო! ასე
იმიტომ მოვიქცეი, რომ ჩემთვისაც გამგადვილებინა გურგე-
ნის გაპიროვნება და მკითხველისათვისაც. საქმე იმაშია, რომ
გურგენში შემისა და პაპის სამაყო თვისებები საესებით იყო
დაცული. ამაზე, როცა ამ ამბავს ბოლომდის წირითხავთ,
დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით.

გურგენშა, როგორც იყო, დიდი ვაი-ვაგლაშიით და მართა კულასში თრ-თრი წლის ჯდომით, მესამე კულასში დრ შიაღწია; აქ კი სამი წელიწადი მოინდობა ჯდომა, რაც ახირებულში მასწავლებლებმა არ უყაბულეს.

ჩეიდმეტი წლის განსწავლული გურგენი დაუბრუნდა თავის სახლ-კარს და „პომეშჩიკუბის“ მიკუთ ხელი. მით უმეტეს გრძნობდა თავს „პომეშჩიკუდ“, რომ სახლში მის მეტი მამა-კაცი სხვა არ იყო; ბებიასა და დედას კი, შისი აზრით, ამარა გაფეხბოდათ მამულების მოვლა-პატრონობისა?

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ბევრი მოსავლელი არც იმას ჰქონდა რამე. ტყე და დიდი ნიჭილი სახნაე მიწებისა კარგა ხანია, რაც ბან კის ვალში გაიყიდა მისი მძმის თამადობის დროს. კარზე ვამართული წისქილი მის გიმნაზიაში განსწავლას მოუნდა. დარჩა თრი-სამი დღის ცარიელი ეზო ვეებერთელა თრ-სართულიანი სახლით, რომელსაც კიბე დალპობოდა და მის მაგიერ საძნე ურშის დანდლებიანი უბეები იყო მიუუდებული. ამის გამო ტრაბახაძიანი დაბლა სართულში ცხოვ-რობდნენ; მეორე სართული კი ბელლის და ხარა-ხურის საწყობის მოვალეობას ასრულებდა. სამ დესეტინა ზეარს, რომელიც ეზოს ზედ ეკრა, სანახევროდ სხვა იკეთებდა და იმასთან ისე ერთგულად, რომ ზაფხულში ყლორტებით გაძარ-დული და ფოთლებით დაბურული ვაზებიც კი არ დაგიშლი-დათ ზერის თაეიდან მის ბოლოში რუს პირის ჩამწერივებულ ლაფნების დანახებას. ათიოდე დესეტინა სახნაე მიწა საღა-ლედ იყო სოფლებზე გაცემული, და პატრონის მხრუნვე-ლობა მხოლოდ ლალის აკრეფაში გამოიხატებოდა.

გურგენს ეს გარემოება მაინც არ უშლიდა თავი ნამდვილ მემამულედ წარმოედგინა. როგორც ასეთს, მის, რა თქმა უნდა, მოურაე სკიროდა, მაგრამ გამოფხევილი ჯიბე მის დაქერის ნებას არ აძლევდა. ამიტომ თავიანთ მოჯამავირე ბლუ-ვანას მოურაეს ხარისხი უბოძა. უკანასკნელი ფარეშის



თანამდებობასაც ასრულებდა და, ბატონი სადაც უწყვეტოდა თან დასდევდა.

„მოურავის საკითხს“ მაღვე მოუარა გურგენშა, მაგრამ ახლა „ცხენების საკითხი“ ჰქონდა გადასაწყვეტი: აბა, ის რადა მემამულეა, რომელსაც ცხენები არა ჰყავს! ბევრი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა: როცა ლვინოს გაცყიდის, შეიძინოს ორი ცხენი თავის შეკაზმულობით. დაავიწყდა დალოცვილს, რომ ზერის მოსავალი დიდი ხანია დაგირავებული ჰქონდა ბულდანა მედუჭნეს მისგან დახარჯულ ნისიაში, ისევე, როგორც მისი ბებიის პენსიის წიგნაკი.

გურგენი მაღვე შევიდა „პომეშჩიკის“ როლში: ის აუცილებელი სტუმარი შეიქნა ყოველ ნადიმსა და ლხინში. ამასთან ლვინის სმისა და თამაღობაში თავიდანვე ყველას დიდი იმედი აღუძრა.

— ენაცვალოს დედა ჩემ გურგენს! — იტყოდა ხოლმე თავ-მომწონედ პატარა ქალბატონი თაფლო: — ჯერ სულ ბავშვია, და ისე თამაღობს და ამხიარულებს სუფრას, როგორც დიდი ხნის გამოცდილი ტოლუმბაში. ეს რომ რიხიანად „კახურს“ შემოსახებს, სულ-ცხონებული მისი მამა დამიღება ხოლმე თვალ წინ!

არა-ნაკლებ გამოიჩინდა გურგენი პაპის სამხედრო ნიჭს, მაგრამ შემილთან ომი იმ ღროს გათავებული იყო, ახლანდელი მსოფლიო ომი კი ჯერ არ დაწყებულიყო. ამის გამო, სამშობლოს სამწუხაროდ, იგი იძულებული შეიქნა თავისი უტყუარი სამხედრო ნიჭი ნადირობაზე დაეხურდავებინა.

მან მოინდომა პაპს ნაქონი ტალ-კვესიანი ხირიში ფისტონიანად გადაეკეთებინა და სანადიროდ დაეწყო სიარული; მაგრამ ბებიამ დაუშალა:

— მაგით არ იყო, რომ პაპა შენმა, ცხონებულმა ქიბოსრომ, გუნიბი აიღო? ფისტონიან თოფს მაგის შხამი საღ

ექნება! ე მანდ არ შესცდე და მეკონდახეს*) არ გამოიწვია თორებ უბრალო თოფტე შეგიცვლის!

ბებიის საბუთი გურგენს დამირწმუნებლად ეჩვენა და ტალკვესიანი თოფით დაიწყო სროლაში ვარჯიშობა. ხირიშმა დაწისლეთ იცოდა და ხშირად საპირისწიმლის აღიც პირს ურუცავდა; ამიტომ დამიზნების შემდეგ გურგენი თვალებსა ხუჭავდა და თავს უკან იბრუნებდა. „სიფრთხილეს თავი არა სტკივათ“, იტყოდა ხოლმე ის თავის გულში. ამგვარი დამიზნების შემდეგ ის იყო, რომ ათიოდ ნაბიჯზე დასმულ ნიშანს ასში ერთხელ თუ მოხვედრებდა. გურგენი მაინც გულს არ იტეხდა: იცოდა, რომ დასახულ მიზნის მისაღწევად დაუღლიავი შრომა და ენერგიაა საჭირო. ისიც დიდი მოთმინებით სტენდა თოფტს და ისროდა; ისროდა და ისროდა.

როცა თავისი აზრით სროლაში კარგად დახელოვნდა, მოურავთან ერთად აწლა ტყესა და მინდორში დაიწყო სიარული სანადიროდ. თავისი აზირებული დამიზნების წყალობით, რა თქმა უნდა, ყოველთვის ცარიელი ბრუნდებოდა სახლში. ერთხელ, რაღაც მანქანებით, კურდლელი მოჰკა. ნალირს ერთი საფანტი უკანა ფეხში მოხვედროდა და მეორე მხარში. შინ რომ დაბრუნდა, ყველა გააჯერა: რა იდგილსაც დაუშინე კურდლელს, სწორედ იქ მოვარტუიო. ერთსა და იმავე დროს როგორ დაუმიზნა მხარსა და უკანა ფეხში, ეს გურგენის საიდუმლოებას შეაღენდა.

იმ დღიდან მას თავი დიდ მონაღირედ მოჰკენდა. კესას მიერ ორი ირმის ერთად მოკველა და სოფელში მისი ქებით მოხსენება გურგენს შეზურდა და მოინდომა თავადაც დაეხოცა ირმები. ხსენებულ დიღის გურგენისა და ბლუ-ვანის ირმებზე სანადიროდ წასვლა მათი პირველი დებიუტი**) იყო.

*) მოშელილ თოფების გამმართველი და კონდახების მკეთრებელი.

**) გამოსვლა.

II

ბილიკი, რომელზედაც გურგენი და ვანა მიღიოდნენ, ვი-
წრო ხეობას ასდევდა. თუმცა მზემ დიდი ხანია ბარს თავისი
სხივები მოჰყინა, მაგრამ იქეთ-იქით აყუდებული მოები ხეო-
ბას ჩრდილს აყენებდა და ისევ გარიერების ელფერს ძლიერდა.
ეს გარემოება ჩვენ მონაღირეს ცოტად გულს უკეთებდა: მისი
აზრით არც ისე დაუგვიანდა, როგორც ეგონა. მიტომ ილირ-
სა „მოურავს“ თავისი დიახ დიდ-მნიშვნელოვანი აზრების გა-
ზიარება:

— ხომ დაეხოუთ ირმებს, ჰა, ვანა! შენ როგორა გვი-
ნია?

— ლიაშ, ბეჭონო!

— Յո, մյը յո զուր, հռամ պահոյելո առ զայթիւնց զցնութ:

ვანას ხანჯლისა და კომბლის გარდა სხვა იარაღი არ გააჩნდა. ასე შეიარაღებულს მონადირეს არ ეძახიან, მიღრამ გურგენშა ისიც მონადირედ ჩასთვალა: ალბად ეს მისი სულის საუცხოო განწყობილებით იყო გამოწვეული. იგი თავს იმ აზ-ნაურ მონადირედ ჰსახავდა, რომელიც მხლებლებ-მედებრებ-შევარდნებით მიღის სანადიროდ და, თუ მას მარტო ერთი მხლებელი ჰყავს, ეგ იმიტომ, რომ მის გამჭრიას თვალს, მა-ხეილ სმენას და მარტ მუხლს ნადირი ვერსად წაუყა. ვანა მხოლოდ საგზლის და დახოცილ ნადირის საზიდავად იყო საჭირო.

სოფლელები აშბობდნენ, გურგენს სანაღიროდ მარტო
წავლისა ეშინიან და ბლუ-ვანა იმიტომ დაჰყიც მუდამ თა-
ნაო. ეს, რა თქმა უნდა, კორი იყო. ამაში შეითხეველი ქვე-
ვით თავიდაც დარჩიმუნდება.

— ვანა, ირემშია ჩქენა ხომ არ იცის? — შეეყითხა უში-
შარი და გულადი მონაცირე თავის მსახურს.

— არა, ბევრონი!

三六四三五三四四
三五三三四三三三

— თუნდაც იცოდეს, რისა მეშინიან? აქ არა მაქვს ჩემი
ხირიმი! ამლა ისე გავვარჯიშდი სროლაში, რომ საღაც და-
უმიზნებ, არ გაეკლებ!

ვანა სოფელში სულელიდ ითვლებოდა, რადგან მუშაობა ეზარებოდა და ტრაბიხიანთ მუქთად ემსახურებოდა. ამის მიუხედავად, ხანისხან ისიც ოსურჯობისა და მახვილობის გუნებაზე დადგებოდა ხოლმე. მხოლოდ ის იყო მისი უბე-დურება, რომ ენა უშლიდა და მისი სიმახვილე ხშირად ვა-უგებარი რჩებოდა.

— ეკრთი რომ მმოქალა, სსხვები? — შექადარა მან თავის ბატონს.

— რაა სხვები?

— სსხევები რჩობ დღაგურივნენ რჩქებით, ხმაში...

— შენ არა სთქვი, ირემში ჩქერდა არ იყიდო?

— ჰო, მჩაგრამ თთუ გვეთმწიარე, მჩაშიინ...

— მეც ხეზე ივალ და იქიდან ვესვრი!

— მა! — წაიძმუკუნა თავის ქნევით ეანამ, რაც გურგენ-
მა მისი აზრის მოწონებად და დაბასტურებად მიიღო, ნამდვი-
ლად კი გულში დასცინოდა მის სიმხდალესა და ორერთვებას.

ჟოგიერთები ვანას ბატონისათვის ამისთანა ერთგულებას მისი თვედაცვის ინსტრიქტით ხსნილნენ, რაღაც, თუ გურ-გებს რამე აუტყვდებოდა, მას სხვა ორავინ აჭმევლა პურს მუქ-თად; შრომის კი იყი სულ არ იყო მიჩვეული.

ასე იყო თუ ისე, ვანა ნამდეილი სანჩიო იყო თავისი ლონ-კიხოტისა, იმ განსხვავებით, რომ ბატონთან საუბრის დროს ხშირად მას სანჩიოს გულ-უბრყვილობა იკლდა.

გურგენი დიდ კმაყოფილებას გრძნობდა იმის გვერ, რომ
ნახევარზე შეტი გზა გაიარეს და დაღლილობა თითქმის სულ
არ უგრძენია. თუმცა ხელები და ცხვირი ეწოდა სიციისა-
გან, მაგრამ ამას არაფრთდ აგდებდა, რაღვან აგერ საცაა მივ-
ლენ ვეძაზე, იქ ცეცხლს გააჩალებენ, მოთხებიან და მერე
ირმებს ჩაუსაფრდებიან.

— კიდევ შორს არის, ბიჭო?

— ცურტა ღლა დდდ...

— ის რა მორბის ჩვენს პირდაბირ ბილიკზე?

— ააბაზ ჰო, ეგგ მმელაა... ბბატონო, მმომეცი თოთვი,
მმე ვვესერი! — დაუმატა ცოტა სიჩუმის შემდეგ ვანამ, რა დაი-
ნახა, რომ გურგენი სროლის არ აპირებდა.

ვანას უკანასკნელი სიტყვები გულუბრყეილობით წამოს-
ცდა, თორემ ღმერთია მოწამე, რომ ბატონის შეურაცხყოფა
გულშიაც არ გაუვლია:

ის იყო, ბატონი ბილიკიდან ტყისაკენ გადახტომის აპი-
რებდა, როცა მელა შექერდა და თავი მაღლა ასწია. გრძე-
ლი კუდი აქეთ-იქით გადაიქნია, მერე შესწემუელა და შე-
უხვია შარჯვნივ.

— შე რევვენო, რით ვერ გაიგე, რომ იჩმებზე მივდი-
ვარ სანალიროდ და არა მელებზე? — შეუტია ვანას მელის
მიუარებით გულ-დაშინინებულმა ბატონმა.

— ნნამდვილი მმონალიზე რჩა ნნალირსაც უშეხვდება,
უუნდა ექსროლოს: იიქნება იიჩმები სსულიაც ვვერა ვვნა-
ხოთ!

ბატონმა ამაზე არაფერი უპასუხა: იგი გულში თანახმა
იყო ვანას აზრისა. გრძნობდა, რომ მისი დავთრების დაბნეების
მიზეზი ზიში იყო, რის გამო მას არც კი გაახსენდა, რომ
სანალიროდ იყო წამოსული და გატენილი ხირიმი ეკავა
ხელში.

ბატონშა, მსახურისაგან დატუჭვენილმა, რომ მან ჰქონის მისი სიმხდალე, და მსახურმა, ბატონისაგან ნაწყენმა, რომ მან თოფი არ მისცა მელის მოსაკლავად, დანარჩენი გზა თითქმის ხმის-ამოულებლივ იარეს. მზე უკვე სამხრეთისაკენ გადინარა, როცა ისინი ვეძაზე მიეიღნენ.

III

ვედა პატარა, 10—12 საეკის სიგრძე-სიგანის მლაშე ტბა იყო. აქ ბალახის მეომელი ნადირი ნასაღილევს ხშირად დინარებოდა წყლის სასმელიად.

მის გარშემო კარგა შანძილზე მოტიტვლებული ტაფობი*) იყო: მწირი, მარილ-ნარევი ნიადაგი საკმაო საზრდოს იძლევედა მხოლოდ აქა-იქ ამოსულ ჯაგებს, რომელთაც თოვლის საბანი აღგილ-აღგილ გზა-ტკეცილისთვის დამტკრეულ ქვის გროვებსავით იმოებერით.

ეს სურათი გურგენისათვის მოულოდნელი იყო. მისი წარმოდგენით ვეძას ზედ დაპყურებდნენ ვეებერთელა ხეები, რომლებზედაც თავისუფლად შეიძლებოდა არამც თუ თოფის სროლა, წოლა და ძილიც კი.

— ახლა რაღა შეშველება: ერთი ირემი რომ მოვკლა, სხევებმა ხომ ჩექჩე ამიცვეს! — ფიქრობდა მონადირე: — არა, უთუოდ უნდა მოვახერხო რამე; ჯერ კი საჭიროა ცეცხლი ივანთოთ და დავთბეთ.

— აბა, ვანა, ერთი ცეცხლი გააჩაღე, რომ დამძრალი ხელ-ფეხი მოვითბოთ, შევნაყრდეთ და მერე ირმები დაფხოროთ.

*) ტაფასავით ჩაღრმავებული აღგილი.



- ცცხლი არ შეიძლება, ბბატონო! გვიპირობის
— რას მიჰქარავ, რატომ არ შეიძლება?
— კყვამლის სსუნზე ნნადირი გვიფრთხება!

ეს იმბავი გურგენს კიდეც ესიამოენა: მისი აზრით ახლა
ირმების დახოცეა კი არა, მათგან თავის დაცეა იყო საჭი-
რო.

— ეგ არაფერია: როცა დავთბებით, მერე ისეც გავაქ-
როთ.

ვანამ თავის ბატონს სიტყვის შებრუნება ვეღარ შემკა-
დრა და ხელიდ ცეცხლი დააგიზგიზა. ამოიღეს ხურჯინიდან
საუზმე და მთელი დღის უსმელ-უკმელნი და დალლილ-დაქან-
ცულნი მიღიანად შეექცნენ. ვატყოდი, გემრიელიდ შეთქი,
მაგრამ ეს ცოტი სწორე არ იქნებოდა: გურგენს რაღაც მი-
ზეზით ლუქმა ყელზე ადგებოდა. თუმცა ამას თვითონ დალ-
ლილობითა ხსნიდა, მაგრამ, ეს რომ ვანასთვის გაემხილა, ის
იმდენად ბრიყვი იყო, რომ უეკველიდ შიშ მიაწერდა.

საუზმის გათავების შემდევ ვანამ ცეცხლი გააქრო, მერე
ერთ ბუჩქთან თოვლის ჩინებული საფარი გააკეთა და ორი-
ვენი ერთად ირმებს ჩაუსხდნენ.

გურგენი დაშტერებით გასცეკროდა იმ ბილიკს, რომელ-
ზედაც ირმებს უნდა ჩიმოველოთ ტბაზე, და გულში ღმერთს
ეველრებოდა, რომ... მაგრამ მყითხველიც მიხედება, რომ ღმერთს
ირმების გამოჩენას კი არა, მათ იმ ადგილიდან გადაკარგვას
შესთხოვდა!

უკვე სალამომ მოატანა. გურგენის სასიხარულოდ, ირმე-
ბი არსადა სჩინდნენ. ტყეში მგლებშა ღმუილი და ტურებშა
წყავ-წყავი ასტეხეს.

სიცივისა და ცალკე შიშის გამო ჩვენს გადასახლებია
მონადირეს ცახცახი და წყებინა. მას განზრახული ჰქონდა: თუ
იმ დღეს ირმებს ვერ დამხოცავდნენ, ღამე იქ გაეთიათ; მაგ-
რამ შიში მას ნადირობის გეგმა ჩააშლევინა და დაუყოვნებ-
ლივ შინ დაბრუნება გადასწყვიტა.

ვანა ბევრს ემუდარებოდა თავის ბატონს: ამაღამ იქ გა-
ვათიოთ, და ხვალ უმპველად მოყლენ ირმებით. გურვენ-
მა მაინც თავისი არ დაიშალა, და ორივენი, სიცივისაგან
გათოშილნი და მარცხისაგან დალვრემილნი, ბარისკენ და-
შვენენ.

ტყის პირს გარჯილაანთ საფუტკრე იყო, საღაც ფერე-
თვე საბძელ-ბოსელიც იყო საქონლისათვის გამართული. ამი-
ტომ იქ მწყემსები და ხშირად პატრონიც ყარაულობდნენ
ხოლმე ფუტკარსა და საქონელს.

საფუტკრიდან ვანას რაღაც გუგუნი და ფრუტუნი მო-
ესმა. ამ ტროს მთვარემაც წამოჰყო თავი მთის იქიდან და
ისედაც ვარსკელავებისა და თოვლისაგან ნათელი ღამე დღე-
სავით გააქაშეა.

მათ თვალ წინ შემდეგი სურათი გადაეშალათ: საფუტკ-
რის ღობის იქით, მათგან ასე 10—15 ნაბიჯის სიშორეზე,
დათვეს ფუტკრის გეჯა ჩამოუგდია დაბლა, სახურავი გადმო-
უბრუნებია და თაფლს შეექცევა. გაბრაზებული ფუტკარი
ცხეირ-პირში დაპატივებელ სტუმარს, რომე-
ლიც მათ თათით იშორებს და თან ბუზლუნებს.

მთვარისა და თოვლის გამო რომ ისედაც ცველაფერს
თეთრი ფერი არა სდებოდა, ვანა შეამჩნევდა, რომ მისი ბა-
ტონი სამარილან იშოღებულს დაემზავესა. შიშისაგან მას მუხ-
ლი მოეკეცა და თოვლზე ბრავვანი მოსძერა. ვანა ეცა მას
წამოსაყენებლად და ჰქითხა:



— რა გვემართება, ბბატონო?

— ყინულზე ფეხი გამისხლტა და თავი ველარ შევივა-
ვე! — ძლიერ გასაგონად წაილულლულა გურგენშია და, რომ
თავისი მოურავი დაეჯერებინა, განაგრძო:

— უმ, ეს ვერანა მუხლი რა რიგ ვიტკინ!

საფურცელის ზემოდ მაღალ ბოძებზე დიდი სათივე იდგა,
რომელზედაც კიბე იყო მიყუდებული: მწყემსები იქიდან ყო-
ველ დღე საქონელს თივის უყრიდნენ. ბლუს ეს საიმედო თავ-
შესაფარი შეუმჩნეველი არ დარჩა.

— ბბატონო, სსათივეზე იავიდეთ დღა იქიდან ვევსრო-
ლოთ დღათეს თოთფი!

გურგენს შიშისაგან თოთფი დაავიწყდა და ნადირობაც და-
ყველაფერს შინისკენ გაქცევა ერჩივნა, მაგრამ გრძნობდა, რომ
მუხლები ვაეცემოდა და გაქცევას ვერ მოახერხდებდა. ამიტომ
მოურავის აზრი ამისთანა ყოფაში გენიოსურად ეჩვენა.

— კარგი, მეც მავასა ვფიქრობდი, — უპასუხა მან, თუმცა
მართალი რომ ითქვას, იმ წუთში ფიქრის უნარი სულ მთლად
დაკარგული ჰქონდა.

ბატონი და მსახური გაექანენ სათივისაკენ და სწრაფად
ზედ ავიდნენ.

დათეი ხომ კარგი მეხეურია:*) აქაც რომ ამოვიდეს კი-
ბით? — მოიფიქრა აზრიანშა მონადირემ: — ბიქო, კიბეს ხელი
ჰქონი და იქით გადააგდე!

— რჩოვორ-ლღა ჩიავიდდ...

მონადირის შიში იმდენად დიდი იყო, რომ მოურავს
ალარ დაცუადა და, სანამ იგი სიტყვის დამთავრებდა, თვი-
თონა ჰქონა წიხლი კიბეს და მიწაზე ტყაპანი მოალებინა.

*) ხეზე ამხვლევი.

მამაცმა მომადირებ ახლა კი უშიშრად იგრძნოს თევზე კანკალი ცოტად ჩაუდგა.

კარგი ხანი გავიდა, სანამ გურგენი მოლად დაშოშმინდებოდა. ბოლოს, როგორც იყო, მან ძალა და სიშშვილე მოიკრიფა, ხირიში მხრიდან მოიხსნა და დათეი ნიშანში ამოილო. მართალია, ხელები ახლაც უკანკალებდა, მაგრამ მკითხველი შესცდება, თუ იფიქრებს, რომ ეს ნადირის შიშით, ან სიცივის გამო მოხდიოდა. არა, თოფის ყოველ გასროლაზე ემართებოდა ასე, რადგან ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ხირიშს სწორედ ზარბაზნის ხმა ჰქონდა.

გურგენმა ნიშანში ამოღების შემდეგ ჩვეულებისამებრ თვალები დახუჭა, თავი უკან მოიბრუნა და მოსწია თოფის რიკს...

თოფის გავარდნა და დათვის ხავილის დაწყება ერთი იყო. ეტყობოდა სასიკედილოდ იყო იგი დაჭრილი, რადგან ხავილი თან-და-თან მინელდა და მაღრე სულაც მისწყდა.

— ჴი, იცის ბიჭმა გურგენმა და! — ჩაილაპარაკა მოულოდნელი გამარჯვებით ალტაცებულმა მონადირემ: — ეს დათვი ხომ მოვკალ; ახლა როგორმე დაბლა უნდა ჩავიდეთ!

იქნება, მკითხველო, იფიქრო, რომ გურგენს დათვის სანახავად და მის გასატყავებლად ეჩქარებოდა დაბლა ჩასვლა! სრულებითაც არა: ის სავსებით დარწმუნებული არ იყო დათვის სიკედილში, დაჭრილ დათვთან კი მისი აზრით ვერა მონადირე ვერ მიბედივს, როგორიც უნდა გულიდი იყოს იგი. მას კი... მიუხედავად იმისა, რომ თავს ხახელ-გან-თქმულ მონადირედ სთვლიდა, მოკლულ დათვთანაც ეშინოდა მისვლა.

— როგორ ჩავიდეთ, ბბატონო, რომ კუიბე გგა-დააგდე?

— შე ბრიყვო, კინე მე კი არ გადავაგდე, თავად გადავარდა! ჩქარა როგორმე ბოძზე ჩაფოთხდი და კიბე მოაყუდე! — სასტიკი კილოთი უბრძანა გურგენმა მსახურს.



ვანა ყოფილობდა: ბოძამდის კარგა სიმაღლის ფოფისაზეთუა
ნი იყო ჩასასელელი, რაც უფრო მეტ სიძნელეს წარმოად-
გენდა, ვიდრე ბოძზე მიწამდის ჩამოცოცება.

სანამ ბატონი და მოურავი თათბირობდნენ, თუ სათა-
ვიდან როგორ ჩამოსულიყვნენ, საბძლის მხრიდან ორი კაცი
გამოვიდა და მოკლულ დათვთან მიერდა.

— ეჭეი, შიგ ყურის ძირში არ მოხვედრია ამ ოხერს! —
სოქვა ერთმა.

— კიდევ იმიტომ გასლაპა ასე მალე ხმა! — უპასუხა
მეორემ.

მათ გვჯა გაასწორეს, დათვი განზე გაათრიეს და მის
გარშემო რაღაც ფუსფუსი იწყეს.

ამ დროს მთვარე ღრუბლებს მოეფარა. ერთმა მათვანმა
ანთებული ჭრაქი გამოიტანა. ჩვენმა მონადირეებმა ახლა კი
ნათლად გაარჩიეს, რომ ეს, მათი აზრით, ორი არა-მკითხე
დათვს ატყავებდა.

— ჲა, რა პირი დაგიღია, შე ყეყერი, — შეუტია ბატონმა
შსახურს: — ეს ნადირი ხომ მოკალი, და ახლა მაგათთვის და-
მითმია: მე რაში მეტირება მაგისი ტყავი!

ვანას რჩევით გურგენი თივაზე გაწვა, თოფის კონდახი
ორივე ხელებით დაბლუჯა და ლულა დაბლა ჩაუშვა. ვანა
მას ბოძამდის ჩამოჰყეა. შემდეგ ბოძზე მიწამდის ჩამოცოცება
ბატონის დაუხმარებლადაც შეიძლებოდა. ვანამ მიუყუდა
კიბეთავის ბატონს და ნადირის მოკლით გამხიარულებულე-
ბი ორივენი შინისკენ გამოეშურნენ.

IV

შეორე დღეს კესამ დათვის ხორციცა და ტყავიც მეღუქ-
ნეს მიჰყიდა. ხალხი შემოხვევოდა დათვის ვეებერთელა ტყავს,
სინჯავდა ჭრილობას და აქებდა მონადირის სიმარჯვეს.

ამ დროს მხარზე თოფ-გადაკიდებული გურგენი ასევის „მოურავით“ ბაზარში გამოვიდა: ხირიშს წინა ღამეს სალტე წასძრობოდა, და მის გასაკეთებლად მექონდახეს წამოვდო.

— ეს დათვი კესამ კი არა, მე მოვეალი იმათ საფურცელე-ში! — განუცხადა მან სოფლელებს. მათ ეს ამბავი საეჭვოდ მიიღეს.

— ძალიან დამიზნება კი გცოლია, გურგენ, თუ მართლა შენ მოჰკალი! — სოჭვა ერთმა.

— იმ შუალებისას შენ იქ რა გინდოდა? — შეეყითხა შეორე სოფლელი.

— გუშინ მე და ჩემი მოურავი ვეძაზე ვიყავით სანადი-როდ, მაგრამ ირმები ვერა ვნახეთ. დაბრუნებისას გარჯი-ლაანთ საფურცელის გვერდზე რომ მოვდიოდით, შევნიშნე, რომ საფურცელეში დათვი შეპარული და თაფლსა სჭამს. გავუ-წოდე თოფი და ნადირი იქვე გავიგორე. აი, თოფის სალტეც იქ დამეკარგა და ახლა მექონდახესთან მიმაქეს გასაკეთებ-ლად!

გურგენმა მხრიდან თოფი მოიხსნა და დასარწმუნებლად ხალხს აჩვენა.

მაინც ამ ამბავს თითქმის მოელი ხალხი უნდობლად უსმენ-და. როცა „მოურავმაც“ დაუმოწმა ბატონს, ბევრი მათვანი შზად იყო დაჯერებინა: გურგენის სამარცხვილო, ხალხს მსახურის სიტყვა უფრო სჯეროდა, ვიდრე ბატონისა, რადგან ბლუ-ვანა სიმართლის თქმისაც ძლიერ ახერხებდა და ტყუილი-სათვის ენასა და თავს არ აწვალებდა.

— ე თოფი ისევ გატენილია, და მარტო საპირის-წამლით ხომ არ მოჰკალი დათვი? — შევნიშნა ერთმა გლეხმა.


პასუხიდ ვიღაც ენა-მახვილმა ჩაილაპარავა:

— საქმე ისაა, რომ გურგენის აფით საპირის-წამლით ჰქონია
კოთ დათვები, თორემ ტყეით ხომ კესასაც შეუძლიან!

მოულოდნელობით გაბეჭდული გურგენი ყურებამდის
გაწილებულიყო; საქმის ვითარებას მიხედვილი ხალხი კი
გულიანად ხარხარებდა...

დ. ქეძაშვილი.





ოქროს შველის ზღაპარი

(დასასრული*)



მ საათში გაარონინა რაშმა ვაეს ულრანი კლდე-ლრე
და ოწივების მუხასთან მიიყეანა. აქ გამოიძრო ბე-
წვი, მისუა ვაეს და უთხრა: მე ახლა წავალ ისევე
ჩემთვის და, როცა გაგიჭირდეს, მაგ ბეწვით მახსენე და
მსწრაფლ შენთან გაეჩნდებიო. რაში წავიდა, ყმაწვილი კი
მიეიდა მუხასთან და მის ძირში დაიძინა. თურმე ამ მუხაზე
ბუდე აქვთ დედალ-მამალ არწივებს, რომელთაც დაზრდილ
ბარტყებს გველეშაპი უკამს ხოლმე. სწორედ ამ დღეს, რო-
ცა დედალ-მამალი არწივები სანადიროდ იყვნენ წასული,
მოდის გველეშაპი და ჩვეულებისამებრ უნდა, რომ არწივის
ბარტყები გადასინსლოს; მაგრამ გველეშაპის მოსვლა მსწრაფლ
გაიგო ყმაწვილმა, უცებ ზეზე წამოიკრა, გველეშაპი სულ
ნაკუწ-ნაკუწად აქცია და ბარტყები შექმის გადაარჩინა.

ამ დროს მოფრინდნენ შშობელი არწივები. როცა გაი-
გეს, რომ ყმაწვილმა მათი ბარტყები გადაარჩინა, იმათი დამ-
ღუპველი გველეშაპი მოკლა, აღარ იცოდენ რითი გადაეხა-

*) იხ. „ნაკუდული“, № 9.

დათ მისთვის სამაგიერო სიკეთე. ბევრს ეხვეწნენ ყმაწვერლის მიერადა და გვითხარი, — რა სამაგიერო მოგიზოთ სიკეთისთვინო, ყმაწვილმა არა ინდომა რა, მხოლოდ გაუზიარა თავის განზრანეა და დახმარება სთხოვა. ერთ-ერთმა არწივმა მსწრაფლ შეისვა იჯი ფრთებზე, მეორეც გვერდში ამოუღვა, გაიჭინეს იღმოსავლეთის ქვეყნისაკენ და მიიყვანეს ერთ სოფელში ერთ ლამა მოხუცებულ ადამიანთან. აქ მათ გამოიძერეს თითო ფრთი, მისცეს ყმაწვილს და უთხრეს: — როცა გაგიჭირდეს რამე, გვახსენე და მაშინვე შენთან დაეიძადებით.

ყმაწვილი მიესალმა მოხუცს, რომელმაც მამა-შვილური სიკუარულით მიიღო ისა და სახლში მიიპატიქა. ცოტათი ისაუზმეს და მოხუცმა გამოჰყოთა ვაჭს თავვადასავალი. ყმაწვილმა უამბო და დახმარება სთხოვა. — ერთი — ორი დღე ჩემთან დაისკენე, შეიღო, — უთხრა მოხუცმა და მერე ერთ შორეულ სოფელში გამოჩენილ და მეფისტონ დედაბერთან გავაგზავნი: ის გასწავლის ყოველივესო. მხოლოდ დაარიგა: იმ სოფელში, საღაც დედაბერი ცხოვრობს, ათასი რჯულის, ათას სხვა-ღა-სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ბინადრობსო. იმ სოფელშივე არის ერთი მშვენიერი წყარო. შენ იმ წყაროსთან განერდი, და ვინც წყლის ამოსალებად მოვიდეს, ყველის შენ ენაზე გამირჯვება უთხარიო, ვინც შენ ენაზე პასუხს გაგცემს, ის იქნება შენი მშველელიო.

ყმაწვილი მესამე დღეს წავიდა სოფელში, მივიდა წყაროსთან და დილიდან საღამომდის ყველა იქ მიმსვლელს გამარჯობას ეუბნეოდა, მაგრამ არც ერთი მათგანი პასუხს არ აძლევდა, რადგანაც ყმაწვილის ენა არ ესმოდათ. ბოლოს, საღამო უაშე, მოვიდა დედაბერი, მრავალი მსახურის თან-

ხლებით და ყმაწვილის სალამზე მის ენაზე პასუხი მისცემა
ორივეს ძალიან გაეხარდათ ერთმანეთის ენაზე გამოლაპარა-
კება და დედაბერძა ყმაწვილი თავის სასახლეში მიიწვია. ყმა-
წვილმა დაუმალა დედაბერძ თავისი კინობა, რომ ის ხელმ-
წიფის ვეზი იყო და ან რისთვის მოსულა.

დედაბერი უშვილო იყო და თანაც დიდი ელიტიდების
პატრონი. იშვილი ყმაწვილი. რამდენამე ხნის შემდეგ მოუ-
ნახა მშენებერი საკოლეგ, დანიშნა ჯვარის წერის დღე და
აუარებელი ხალხი მიიწვია. იმ დროს, როცა მეფე-დედოფა-
ლი ჯვარის წერისათვის ეკალქსიში უნდა გამგზავრებული-
ყვნენ, ყმაწვილმა გაიხმო ცალკე დედაბერი და მოახსენა:—
მე შენი შეილობის ლირსიც არა ვარ; იხლა კიდევ უღირსი
ბედი გინდა შემახვევდო. იხლა უნდა გამოვიტყდე: ერთი
რამ უნდა მოგახსენოთ: მე ალთქმა მაქვს მიცემული ღმერ-
თხე, სანამ ამას არ გავიგებ, არას გზით არ შემიძლია ჯვა-
რის დაწერა: იასამან, ვარდოსამან ლიოტიძე ვინ ყოფილ
და ან რა იქნებათ?! თუ ამისნი, ჯვარს ვიწერ, თუ არა,
რა არა.

ამისი თქმა და ბებრის აყვირება ერთი იყო:—არიქათ, მიშევლეთ, ეს ყმაწვილი მომაკვლევინეთ, ცოცხალი არ გავეძლეს.—შეიძნა ერთი ვაი-უშევლებელი. დამწრეებთა- ვანი ზოგი იარიღს ეცა, ზოგი კეტს და ზოგი რას. ყმაწვილ- ბა რა დაინახა, რომ საქმე ცუდად იყო, გავარდა სხლიდან, რაც ძალი და ლონე ჰქონდა მოპეურცხლა და თავს უშევ- რთა.

ბევრი იარა კუმაწევილმა და მიეციდა ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქ შექმნილდა ერთი ძალზე მოხატული შეფერ. მოხატული

ცოლით. მათ შეიღი არ ჰყავდათ. როცა ყმაწევილმა შეუტკეთდა დედოფლის სასახლის წინ გაიარა, ჩათ თვალი მოჰკრეს, ძალიან მოეწონათ და სახლში მიიწვიეს; გამოჭკითხდა ვინაობა და იშეიღეს. ყმაწევილმა უთხრა: —ერთი საწყილი კაცის შეიღი ვარ, ობოლი, უთვისტომო და უსწავლელიო. შეფე-დედოფალმა მაშინათვე მოიწვიეს საუკეთესო მასწავლებელი და ვაერის ალზრდა მიანდვეს. მასწავლებელი რომ ერთი დღის გაკვეთილს მისცემს, ვაერ ერთი კვირისას ამზადებს. გამკვირდა მასწავლებელი და უფრო გამკვირდნენ შეფე-დედოფალიც. (ყმაწევილი დიდი ნასწავლი იყო, და აბა რას გაუჭირდებოდა სწავლა)?.

მალე შეფე-დედოფალმა მოიწადინეს ამ ყმაწევილისათვის ცოლის შერთვა, ამოუტჩიჩეს შესაფერი საცოლო, მოემზადნენ დიდებულ ქორწილისათვის, შეპარეს ნაზირ-ვეზირნი, დიდებულნი, და მთელი სამეფო. როცა სისიძო და სისხლოვე ავარიის საწერად უნდა წაეყვანათ, ყმაწევილმა გაიხმო ცალკე მეფე-დედოფალი და მოახსენა: —მე ალთქმა მაქვს ღვთის წინაშე დადებული, სანამ არ გავიგებ: იასამან, ვარდოსამან ლიოტაძე ვინ ყოფილი და ან რა იქნება, ჯვარს ვერ დავიწერო. თუ თქვენ იცით და მეტყვით, ჯვარს ვიწერ; თუ არა, —ვერ დავიწერო. ამისი თქმა და ვაი-უშეელებელის ატეხა ერთი იყო: —არიქა, გვიშეელეთ, —ყვიროდნენ შეფე-დედოფალი, —არ გაიქცეს, მოჰკრელით ეს არამზადა —ესაო. შეიქნა ერთი აურ-ზაური და ორონტრიალი. შემოესია ეს ამოადნა ბრბო ყმაწევილს და იქვე თავის გაგდებინებას უპირებდა. ყმაწევილი შეეხვეწა მეფე-დედოფალს: —ხომ თქვენ ხელში ვარ, —ვიცი, ცოცხალი ველარ წაგივალთ: მასწავლეთ, რაც მოგახსენეთ და მაშინვე თავი მომკეთოთ.

და აი რა გამოიტევა: თურმე ლაიტაძე ყოფილია გვა რი თევითონ ამ მეფისა, ისამინ რქმევია ამ მეფის ცოლს, ვარდო-სამინ-კი ამათ ქალიშვილს, კოშკში რომ მხეოუნბაზავიდ იჯდა და მათრახით ცველის გააქვავებდა ხოლმე. მეფის ცოლი ცუდი ქალი იყო და მეფე ერთხელ ძალიან გაუწყრა თავის ცოლს. გაჯავრებულმა ცოლმა გამოიტანა მათრახი, რომელიც ჩუმალ საღლაუ ეშვნა, გადაჰკრა და გადაჰკრა ბექებზე თავის ქმარს და ძალიად გადააქცია. მალე ძალიად ქცეულ ქმარს გამოუძახა კირში.

დაიწყო წანწალი საწყალმა ძალლმა სოფელ-სოფელ და, თუ სამაღლოდ პურს არაეინ მოუტეხდა, ისე მშიერი იყო. საქმე რომ გაუქირდა, მიეკედლა მეცხვარეებს და გაცყევა მთებში. ამ ძალლის უბედურება ის იყო, რომ არც მტერს და არც მოყვარეს არ შეუყენდა და არც უკბენდა, იმ დროს, როცა მისი ამხანაგები, მეცხვარის ძალები, იქაურობას იკლებდნენ და არავის ინდობდნენ. ამიტომ მეცხვარეებმაც შეიძულეს, კინწის კვრით გამოაგდეს მთიდან და თაეიდან მოშორეს.

დადის საწყალი ძალლი და სიმშილით სული სძერება. მართალია—ძალლიდ არის ქცეული, მაგრამ აზრი და გონება ისევ ადამიანისა აქვს. აი სწორეთ ამ წანწალის დროს შემოეყარა ერთი გულთმისანი დედაბერი; მაშინევ მიხვდა, რომ ეს ძალლი მეფე იყო, გაჩერია იყი და დაიწყო ლაპარაკი. რას მომცემ, რომ ისევ მეფედ გადაგაქციო: ნახევარ შენ სამეფოს ხომ დამითმობ? ძალლი თანახმა გაუხდა.

გულთმისანმა დედაბერმა თავი მოიკატუნა, მიეიდა ამ მეფის ცოლთან და ჰერთა,—მოსამსახურე ქილი ხომ აი გინდათო? დედოფალმა მიიღო მოახლედ დედაბერი და მთელი ქონება მას ჩაბარა. რამოდენიმე ხნის შემდეგ დედაბერმა მოკპარა დედოფალს მათრახი და სახლიდან გაიპარა. მთახას ის ძალლი და მათრახის დაკვრით ისევ მეფედ გადააქცია.



დაბრუნდა მეფე სასახლეში, მოიხმო თავისი კოლექტურული და დასცხო მათრახი, ვირად გადააქცია და კარში გამოუყახა. ამა ვინ მოიფიქრებდა, ვირი დედოფალი იქნებოდა..

მეფე-დედოფლის ქალიშვილმა ვერ აიტანა თავისი დედის უბედურება, მოპპარა მათრახი მამას, აქცია ისევ ვირი თავის დედად, დედოფლად, მოიყვანა სასახლეში; თითონ კი მათრახიანად შორს, ცხრა მთას იქით გამჭრა. იქ დაბინავდა ერთ კოშკში და თავისი მათრახით ყველას იქვავებდა, ვინც იასამან, ვარდოსამან ლაიტაძის ამბავს არ ეტყოდა. ამა ვის ეცოდინებოდა იმათი ამბავი, მეფე-დედოფლის, იმათი ისულის და დედაბრის შეტს, რომელმაც მეფისაგან ნახევარი სამეფო მიიღო და პატარა დედოფალი გახდა?..

აი, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დედაბერი და მეფე-დედოფალი ისე გაბრაზდნენ ამ ყმაწვილზე, როცა ჯვარის წერის წინ იასამან, ვარდოსამან ლაიტაძის ახსნასთხოვა. იმათ რცხვენოდათ ამ ამბის საქვეყნოდ გამოტანა და ყმაწვილის მოკვლაც იმისთვის განიზრახეს...

ყმაწვილმა ეს ამბავი რომ გაიგო, მსწრაფლ ამოიღო არწივების ფრთხები და ახსენა ისინი. არწივები მაშინვე მასთან განჩნდნენ, შეისვეს იგი ფრთხებზე და სამშეიდობოს გაიყვანეს. აქ ყმაწვილმა ამოიღო რაშის ბეწვი და ახსენა რაში. იგი მსწრაფლ ყმაწვილთან დაიბადა, შეისვა ზურგზე და საჩქაროდ მშევთ უნახევის კოშკთან მოიყვანა. ვაჟი შევიდა მზეთუნახავთან და მოახსენა,—ახლა ავიხსნი, იასამან, ვარდოსამან ლაიტაძე ვინ ყოფილაო, და აუხსნა ყველაფერი.

დარჩა ვაჟი გამარჯვებული, და ქალი—ნაჯობნი. ვაჟმა გამოართვა ქალს მათრახი, გაუცოცხლა თავისი ძმები და ქალისაგან გაქვავებული ყველა ყმაწვილები. წიმოვიდა თავის სახლში წიმოიყვანა მზეთუნახავი და თავისი ძმებიც; მოპგვარა თავის ძმებს საცოლოები, თითონ კი მზეთუნახავზე დაიწერა ჯვარი და იმისთანა ქორწილი გადაიხადა, რომ ჩიტის

რძეც ის ჰკლებია. ჯადო — მათრახი კი ყმაწვილმა ცურცლის გადასწევა.

უფროსშია ძმებშია შეფერდ დასკეცს თავისი სახელოვანი მხსნე-
ლი უმცროსი ძმა. ღიაწყეს ერთად ძმური თანხმობით სა-
სიყვარულო ცხოვრება და დღესაც ბეღნცერად ცხოვრო-
ბენ.

ମୁଦ୍ରା. o. ମାତ୍ରାନ୍ତିକାଲୀନ



არაპი

„ქილილა და დაშანა“ - დაწ



აღირობიდან მოსულმა მეფემ გუნება იცვალა,
სიავე—ულმებელობას თავი გაართვა, იძღვა.
ამოისუნთქა ხალხმა და შესწყდა ტირილ-ვაება,
დამშეიდებული მგელ-ცხვირი ერთად ჰალოზე დაება.
ცველა ლოცავდა ქველ შეფეს, გაისმა ქებათა-ქება,
და ერთმა ბრძენმა ითავა იმ საიდუმლოს გავება,
თუ მეფე რამ აიძულა, შეაცვლევინა გუნება?
შცირედი დუმილის შემდეგ მეფემ ამის თქმა ინება:

„ერთხელ შემდეგი ვიხილე: მურამ ხელთ ივლო მელია,
ფეხი მოსჭამა და უკან დაბრუნდა უზრუნველია.
ამ დროს, სად იყო სად არა, ქვემ მოადინა გრიალი,
ფეხი მოსტება მურიას, დააწყებინა ლრიალი.
თურმე იმ მგზავრმა ისროლა, რომ მიჰყებოდა მერანსა,
ცუდად რომ ეკიდებოდა, „ოხერს“ უძახდა, „ვერანსა“.
მოთმინებიდან გასულმა ცხენმა წიხლი ჰკრა ძალზედა,
პატრინს მოსტება ბარძაყი და მიატოვა გზაზედა.
იქ რამე ნათხარი იყო, უჩინო მიწა წაყრილი,
შიგ ჩაუვარდა ფეხი ცხენს, გადისნა როგორც მარილი.
ამდენი რამე ვიხილე ქვეუში მოსასელელია,
და შევიგენი, რომ ქვეყნად სიავე დამლუპველია!“

სავდე ასულაძე





საუნივერსიტო

დასტარება



ფუტერების ცხოვრებიდან. ფუტერი ხომ პაწია მწერია. მას არა
აქვს ჯავშანი, არა აქვს საკმაო იარაღი მტრისაგან თავისი დასა-
ცველად, ამავე დროს მრავალი მტერი ჰყავს. ფუტერის ნაშრო-
მი, მისგან შეგროვილი ტებილი თაფლი — სანატრელი საჭმელია
არა შირტო იღამიანისა, არამედ მრავალი ფრინველისა და ოთხ-
ფეხისათვეის. დათეო ხომ ძველი დროიდან ცნობილი მოყვარუ-
ლია ტებილი თაფლისა. ფუტერები ჯარად რომ არ ცხოვრო-
ბდნენ, ერთად რომ არ მუშაობდნენ, საერთო ძლიონით
რომ არ იგერიებდნენ მტერს, მათი ჯიში დიდიხანია გაქრე-
ბოდა პირისაგან დედამიწისა. საცხოვრებლად ახალი აღვილის
ძებნაშიაც ფუტერები დიდად ეხმარებიან ერთმანეთს. იმათ
ჩამოშორდება ხოლმე ერთი აზში და ვაუდება ახალი სა-
ბინადრო აღვილების საძებნელია. თუ მიაგნეს რაიშე კარგ




ადგილს, მაგალითად ნის ფულუროს, ძველ კალათის, მაშინა-
თვე დაეპატრონებიან ხოლმე. სწორები, ასუფთავებენ, დიდის
გულმოლგინებით ამზადებენ ახალ ბინას თავისი ხალხისათვის.
ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაში იცავენ ფუტკრები ამ
ახალ ბინას, სანამ მთელი მათი ხალხი არ მოფრინდება და არ
დაეპატრონება. რახაკეირველია, უნდა ვიგულისებოთ, რომ
ფუტკრებს საკუთარი ენა იქვე ისინი განსაკუთრებულ შეკ-
რიკებს, ამბის მთხრობლებს უგზენიან ერთმანეთს, ატყობი-
ნებენ—ყველაფური მზადაა, შეეიძლიათ მობრძანდეთ და ჩვენ-
გან არჩეულ ადგილს დასახლდეთ.

ფუტკრებს რომ შევადაროთ ადამიანთა ტომი, ხშირად
ეს შედარება ადამიანთათვის საზარალო იქნება. ჩვენ ვიცით
მაგალითები, როცა რომელიმე ხალხის ერთი ნაწილი, ადგი-
ლობრივ უმიწა-წყლობით შეციწროებული, სხვაგან მიღის
საბინადროიდ, მაგრამ ამ გადასახლებას წესიერად ვერ აწყობს,
ვერ ირჩევს კარგად ახალ ადგილს საცხოვრებლად და ცუდი
ჰაერისა და მძიმე აღვილობრივ პირობების მსხვერპლი ხდება.
ფუტკრების გონიერება იმაშიც გამოიხატება, რომ ისინი
სწრაფად და ადგილად სძლევენ ყოველნაირ უეცარ დაბრკო-
ლებას; მაგალითად,—პარიზის გამოფენის დროს ერთ სკაში
განზრახ მიამაგრეს შიგნითა კედელს შუშის ნატეხი. ამ გარე-
მოებამ ფუტკრებში ერთბაშად აურჩაური გამოიწვია, მაგრამ
ისინი მალე მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე: მიესივნენ
შუშის ნატეხს და დაფარეს ფისის მაგვარ ნივთერებაათ,
რომ შუშას ორაფერი ქნება არ მოეცნებია მათთვის. ფუ-
ტკრებს არ უყვართ უბრალო ჩსუბი, მტრობა და დავიდა-
რაბა. ისინი უწყალოდ ხოცევენ მხოლოდ ქურდ-ბაუაცა უცხო
ფუტკრებს, მაგრამ ხელს არ ახლებენ ხოლმე რომელსამე
უცხო ფუტკარს, თუ მას გზა დაებნა და მათ სკაში თავი
შეაფარა; განსაკუთრებული სიამოვნებით უმანსპინძლდებიან
ამ ფუტკარს, თუ მას თან მოაქვს რომე საჩუქარი, —ყვავილე-

იდან გამონაწურნი წვენი. მეტის მეტი ლმობიერშირთ-ჭურვის დებიან ფუტკრები უცხო ტომის ხალგაზდა ფუტკრებს, რომელთაც გამოუცდელობისა და სისუსტის გამო ხშირად გზა ებნებათ. მასპინძელი ფუტკრები თითქოს გრძნობენ მათ უპატრონობას, ობლობა-უილაჯობას და განსაკუთრებული გულ-მტკივნეულობით უვლიან, კვებივენ და თავის სკაში ინახავენ. სამხედრო მოქმედება, ფუტკართ თრი ჯარის შეხლა-შეტაკება მხოლოდ მაშინ მოხდება ხოლმე, როცა ამას აუცილებელი საჭიროება აიძულებს.

ფუტკრების ხაზოვადო ცხოვრება მით უმეტეს არის საურადლებო და საგულისხმიერო, რომ მათ შორისაც ვამჩნევთ სხვა-და-სხვინირ ბუნებრივ ნაკლს, რომელსაც ისინი საერთო ძალით ებრძეიან. დამტკიცებულია, რომ ფუტკართ შორის მუქთა-ხორი ჯგუფებიც არიან. ისინი გაურბიან მყუდრო, სასარგებლო მუშაობას და თავის მეზობლების ძარცვა-გლეჯის ირჩევენ. მძარცველ ფუტკრების რიცხვი იზრდება იმ დროს, როცა იმათ საკეცი აკლიათ, აკრეთვე იმ დროს, როცა ეს საკეცი ბლომად არის. შეხვდებით ხოლმე მძარცველ ფუტკრებს, როცა მოხავალი ყანებში უკვე შეგროვილია და მინდვრად არ მოიპოვება ფუტკრებისათვის საჭირო მცენარეები და ყვავილები. ფუტკრების ერთობის ძალა იმაში გამოიხატება, რომ ისინი საერთო ძალ-ღონით განუწყვეტლად ებრძეიან მუქთა-ხორი ამხანაგებს და ცდილობენ თავის ჯიში მყუდრო მუშაობის უნარი განამტკიცონ.

აღდა ნაკადული





ГУАСАРТАЛДЫ

ШАРДАЗО

(Республиканский и областной Д. Екаимбетов) I

ОУРГУРЫС САБЛУСА АМЫСКҮРІСІТ
ШЕРДА АСЫ ТАҢБАЛҒАСЫНІ
ДА МОНДЫНОСА ҚАЙРЫМСА
МОНДЫНОСА ҚАЛЫПДАСЫНІ.
МОНДЫ АСЫ АРЫС МҮРІІ,
МІСІРДАМ МОНДАШЫРЫМЫН МАСА;
МІСІРДАМ НАСЫРЫН
ДА ОС, АСТАУАРЫ ЗҮРІАҮҮРІН МЫСА.
ОУРДА АСЫ СІРІПҮҮСІН ҮҚАНАСҮН ҮЛІС
НІСІРДАМ НАСЫРЫН ТАҢБАЛҒАСЫНІ,
МЫСА МОНДЫНОСА, АСТАУАРЫ ЗҮРІАҮҮРІСІТ
ДА ЗЕРДЕСІРІСІТ МЫСА НАСЫРЫН СҮЛІСА.

II

ЗІРДҮҮЛІСІТ КЕДІБЕДІС ТАГЕРДАДА
ЗІРДҮҮЛІСІТ, АКІРІОЛҮГЕДІН;
ЗІРДҮҮЛІСІТ СІРІПҮҮРІСІТ ТАГЕРДҮБІСА
ОКІРДІН, АЛРІОЛҮГЕДІН;
ЗІРДҮҮЛІСІТ—СІРІН ҮЛІСА
ҮЛІСА—СІРІН ҮЛІСА,
ОУРДА АСТАУАРЫ ЗҮРІАҮҮРІСІТ,
ЗІРДҮҮЛІСІТ МОНДЫНОСА, МОНДЫНОСА.

8 5 8 3 0 5 6 0 8 0

(ବ୍ୟାକରିତକୁଳଙ୍କୁଳିନ୍ଦ୍ରିୟରେ ଯାଏକି ରାଜୀନାମାଲା ମହାରା)

კულტ აქანებს ხვლიყოთა,
კისერს—უშნო ვიტივითა;
ფეხებს არდი-გარდა ათრეც,
ქანც-გაწყვეტილ ზექივითა.

სანაყოფოდ ქითიშვილ ჰებავს,
კვერცხებსა სღებს ჩიტივითა;
მარტო დიდ გმირობას იწეს,
იძრძვის დონ-კიხოტივითა.

კხოველებსა ნათესაობს,
იმაღლება მწყერიითა; ხან-კი,
თუ თავს წააწყდებით,
დარგვალდება ბურთიერითა...

სახლ-კარს მუდამ თან ატარებს,
მოყიდვე ქურთივითა...
ძღირში აჩვის აზ გეგონოსთ,
ბალან-ბურძად ქაცივითა.

რა იქნება, თუ არ მხეცი...
კლდე-ღრის მონა მოტრევიალე?..
უდიერი მოსახლობით
წყალ-მინდობში მოყიალე!

თუ რომ კიდევ ვეღარ შიხვდეთ,
დააკეიირდით სათაურებს...
და ამ არსის პიროვნებას
ორი ასო დაგარწმუნებს.

(წარმოდგენილი დ. ქლიმიშვილის მიერ)

თბილისი
განვითარება

უსულო არის, უსულო,
ფრთხები ასწია სირისა;
ხშირად დაფრინავს ზეცაში,
მაღლილან გადმოჰყოვისა.
ზურგზე შეისვებს სულიერს,—
პატიში იწყებს ნავარდსა;
მტრის ბანაკს თავს გადაუვლის
და მიაყენებს ზარალსა.
გამოიცანით რა არის,—
ან ვინ ბრძანდება ისაო;
მომრაობს სულიერი ფასალი
მაგრამ კი არის ხიხორ...

რ ე პ უ ს ი

(წარმოდგენილი დ. ქლიმიშვილის მიერ)

ერთ-ერთი
კავშირი
წაიყიათ ქვე
უკულმა.

მთავრ-
დიდ წი-
წილას რა
ჰქებან?



100,

კავ-
ში-
რი.



ა. ი. სოფროვი. რა
კითხვას და-
უსვამთ, რომ
ეს სიტყვები
გინასუბონ?

96
კავში-
რი.

ვაერის
სახე-
ლი.




”




ଶ୍ରୀଅନନ୍ଦପ୍ରେଲଳ ଏବଂ
ଗାନ୍ଧିଯାକ୍ରେଲିଟ ଓ
ଫିଲୋଡ଼ିକ୍ସନ୍ ପରିମା






” , 20




”



ଗାନ୍ଧିଯାକ୍ରେଲିଟ
ବାଲୋବ୍ସ
ଓ
ଫିଲୋଡ଼ିକ୍ସନ୍ ?



”



1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ სიყმაწვილო ეურნალ ირმინგამი გამარტინი

"ნაკადულ"

წელიწადი მეორეზეთი

რუნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, სავანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუალი გამოდის თვეში რაჯელ

24 წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

უმცირესი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გვა-
მოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ეურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმით-
თვის, ენიც ეურნალს რედაქტირიში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან.
ნახვაზე წლით—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კა. ცალ-ცალკე:
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 50 კა.
მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კა.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიდაც.

ესთოვთ ხელის მომწერლებს თუ ეურნალი „ნაკადული“ არ
მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და იდრესის გამო-
ცვლი დროზე შეგვატყობინონ. იძრესის გამოსაცვლელად—40 კ.
შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწვერა მიიღება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქტირიში, ზუბალაშვილის სახ-
ლი გოლოვინის პროსპ. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинской
пр. № 8. შემოსასელები დაიკითხი ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის
გამარტიულებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიში, სასახლის ქ.
ქუთაისში—ისიცორე კეიცარიძესთან, გ. ყაუხეშიშვილთან და თ.
მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიშვილთან. ბათომ-
ში—ტროფიმ ინისარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან
უპრაგეში. თბილგვერში ტ ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თე-
ლავში—განო პაარაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვა-
რაშვილებისთან. ბაქოში—ბარიამ ნაკაშიძესთან. გორში—ქეთევან ჯა-
ვახიშვილთან და ნინო ლომიურთან. ჭიათურაში—ივ. გომელაშვი-
ლთან. ხონში—მ. ი. ქავჭანიძესთან. მიხაილოვები—გორგი ნაკა-
შიძესთან. ყვირილაში—ნინო ფერიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.